№ 2987
ოთხშაბათი,
25 იანვარი

# ცნობის ფურცელი

№ 2987
ოთხშაბათი,
25 იანვარი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმე დღის გარდა, შუა დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავა, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

„ნაპერწკლის" რედაქციისაგან.

ზოგიერთი მოსაზრებისა და ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო სატირიული ჟურნალი კარრიკატურებით „ნაპერწკალი" ჯერ არ გამოვა.
ვისაც ფული აქვს შემოტანილი, ჩაეთვლება ჟურნალის გამოსვლის დღიდან.

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ. | საზღვარ-გარეთ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან. |

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა სხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.
„ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".
ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

აბონემენტის რიცხვში. ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრში № 9.
ხუთშაბათს, 26 იანვარს 1906 წ., ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ტასო აბაშიძის საბენეფისოდ პირველად ახალი პიესა

ჯამბაზები

კომედია 3 მოქმ. ცირკში მოთამაშეთა ცხოვრებიდან—შენტანისა, რუსულიდან თარგ. ვ. აბაშიძისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ღ. ივანიძე, მ. მდივანი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი, ვ. ურუშაძე, ჟღენტი (?), ცხინვალელი.
მოსწავლეთათვის ადგილები ლოჟაში 40 კაპ. ადგილების ფასი დაკლებულია.
წარმოდგენა დაიწყება $7^1/_2$ საათზე. დასასრული 10 საათზე.
მზადდება წარმოსადგენად „ხალხი", „სულ სხვა კაცი", ქალის სვე-ბედი".
რეჟისორი ვ. გუნია.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგ ლ-მამულო ბანკი

საყოველთაოთ აცხადებს, რომ ბანკის წესდების 82, 83, 84, 85 და 86 §§ ძალით, ამა წლის თებერვლის [illegible] 1906—1907 [illegible] (3—6.—2)

25 მაისს 1895 წ. უმაღლესად დამტკიცებული [illegible] (3—6.—2)

[illegible]

ექიმი [illegible] (31—6.—21)

ექიმი [illegible]

ექიმი [illegible] (—27)

ა. პ. ფულმინა-მესხი [illegible]

სკოლა ხელ-საქმისა და ჭრა-კერვისა [illegible]

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი [illegible]

კბილის ექიმი [illegible]

[illegible]

ტფილისის პოლიტექნიკუმის [illegible]

ექიმი [illegible]

ტფილისი, 24 იანვარი.

**ლეგალური პოლ. პარტიები რუსეთში.**

როდესაც რომელიმე სახელმწიფო ახლად იწყებს პოლიტიკურ უფლებრივ ცხოვრებას, პარტიებისა და პოლიტიკურ ჯგუფების შედგენაც ახლად იწყება. ამ დროს ყოველთვის მრავალი სხვა და სხვა ჯგუფი და პარტია ჩნდება და გამოდის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე. ესენი პირველ ხანებში თითქოს უფრთხიან ერთმანეთს, თითქოს ეშინიანთ ერთმანეთში შერევისა. გარდა ამისა ბევრი პირდაპირ უფრთხის პარტიაში შესვლასაც კი, ეხამუხება პარტიული ცხოვრება, ზოგს კიდევ ვერც ერთი პარტია ვერ აკმაყოფილებს. ამიტომაც არის, რომ პირველ ხანებში პოლიტიკურ პარტიების მოქმედება ერთმანეთში იხლართება და სახელმწიფოც გარკვეულ პოლიტიკურ გზას ვერ ადგება. ბრძოლისა და ერთმანეთის კრიტიკის შემდეგ გამოირკვევა, რომ ამდენ წვრილ პარტიებად დაყოფა სრულიად მეტია, რომ ბევრი პარტია ერთმანეთს სრულიად ეთანხმება და იმათ შორის მხოლოდ ერთმანეთის უცნობრობის ნაყოფია. ამიტომ ბოლოს საქმე იმითი თავდება, რომ სხვა და სხვა პარტიები ერთდებიან და პარლამენტში იბრძვის მხოლოდ რამდენიმე პარტია.

ასეთი მდგომარეობაა ამ ჟამად რუსეთშიაც. მრავალია ისეთი პარტია, რომელნიც ადვილად შეთანხმდებოდნენ, ერთმანეთის პროგრამა გულდასმით და დამშვიდებით რომ განეხილათ. ამ ბოლო დროს შეერთების პროცესსი უკვე დაიწყო. პირველი მაგალითი ეგრედ წოდებულ პარტიულ ბლოკისა, ე. ი. გაერთიანებისა, მოგვცეს მემარჯვენე პარტიებმა, რომელნიც დღემდე მრავალ ფრაქციად განიყოფებოდნენ. ამ ბლოკში შევიდნენ: „უფლებრივ წესიერების პარტია", სამრეწველო-სავაჭრო პარტია", „ზომიერი პროგრესსიული პარტია", „17 ოქტომბრის კავშირი". თავის დროზე ამ პარტიებმა კონსტიტუციონალისტებად გამოაცხადეს თავიანთი თავი. წინად კაცს ეგონებოდა, რომ ისინი ძირითად პრინციპით ძალიან არ განირჩევნიან კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიისაგანაო. მაგალითად, „17 ოქტომბრის კავშირი" შესდგა ერობისა და ქალაქის იმ წარმომადგენელთაგან, რომელნიც წინააღუდგნენ კრების მიერ აღძრულ საკითხს ავტონომიის შესახებ, მაგრამ ესენი უმცირესობას შეადგენდნენ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ ცალკე პარტია შეედგინათ. გამოდის, რომ ეს პარტიები მხოლოდ ავტონომიის საკითხის გამო განშორდნენ ერთმანეთს. მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ ეს პარტია ძალიან განსხვავდება კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიისაგან. როდესაც რუსეთს რევოლიუციის ცეცხლი მოედო და საქმე ზოგგან შეიარაღებულ აჯანყებამდის მივიდა, ეს პარტიები იძულებულნი გახდნენ ნიღაბი სრულიად აეხადნათ და დაენახვებინათ ყველასათვის თავიანთი სახე. „17 ოქტომბრის კავშირის" წევრები სრულის თანაგრძნობით მოეპყრნენ იმ „სასტიკ" ზომებს, რომელიც გენერალმა დუბასოვმა იხმარა აჯანყებულ მოსკოვის დასამშვიდებლად. გამოირკვა, რომ ესენი მხოლოდ გაუბედაობის გამო მიმხრობიან 17 ოქტომბრის მანიფესტს, ნამდვილად-კი წინააღმდეგნი არიან ყველა იმ თავისუფლებისა, რომელიც ამ მანიფესტით გამოცხადდა. სხვაფრივ არ აიხსნება ის, რომ ამათ პროტესტი არ გამოაცხადეს, როდესაც გრ. ვიტტემ და დურნოვომ დაარღვიეს კრების თავისუფლების კანონი და კრების მოხდენა აუკრძალეს ყველა პარტიას, გარდა „17 ოქტომბრის კავშირისა" და სხვა მემარჯვენე პარტიებისა. ამ პარტიების წარმომადგენლებს გრ. ვიტტემ უთხრა: „თქვენ შეგიძლიანთ შეიკრიბნეთ, როცა ვინდათ, და გამოსცეთ, რა მოწოდებაც გინდათ, ხელს არავინ შეგიშლითო". ასე რომ ამ პარტიებს, ერთის გაზეთისა არ იყოს, უნდა ძალაუნებური კონსტიტუციონალისტები დავარქვათ. ესენი კონსერვატიული პარტიები არიან, და რასაც მთავრობა გამოაცხადებს, ყველაფერს კვერს დაუკრავენ.

უფრო მემარცხნე პარტიები, რომელთა შუა გულიც კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტიაა, მემარჯვნე პარტიებსავით მრავალ ნაწილად განიყოფებიან. ესენი არიან: პროგრესიულ-ეკონომიური, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული, პარტია რადიკალთა, თავისუფალ მოაზრეთა და სხვ. ეს პარტიები ჯერ არ შეერთებულან და, თუმცა კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია სცდილობს გააერთოს ყველანი, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე ვერ ეწყობა. მეტად ბევრი ჰსურს კონსტ.-დემოკრატიულ პარტიას. იგი აცხადებს, რომ შევუერთდები სოციალდემოკრატიის ყველა მოთხოვნილებას პროგრამმა-მინიმუმის ფარგალში და ვეცდები ყველა სოციალისტური პარტიები შევიერთოო. ალბად ეს პარტია არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს პარტიულ დროშას და დროშის ქვეშ ბრძოლას, და ამიტომ არ იცის, რომ სოციალისტი იმას ვერ შეურიგდება. ავიწყდება პარტიას ისიც, რომ შეუძლებელია ყოველ კერძო საკითხში შეუთანხმდეს სოციალისტურ პარტიებს. მაგალითად, თუ რომელსამე რეფორმას იგი წინააღუდგება იმ მოსაზრებით, რომ ეს რეფორმა ჯერ ნაადრევია რუსეთის მრეწველობისთვის და თვით მუშებსაც კი სარგებლობის მაგივრად ვნებას მოუტანსო, „ნარ. ხოზ."-სი არ იყოს, სოციალისტები ვერ მოეპყრობიან ნდობით და ეჭვს შეიტანენ იმის გულწრფელობაში, რადგან, რაც უნდა იყოს, ეს პარტია ბურჟუაზიული პარტიაა. გარდა ამისა ეხლავე ეტყობა, რომ სოციალისტურ პარტიებთან ამ პარტიას დამოკიდებულება არ ექნება ისეთი, როგორიც ჰგონია. ესა სჩანს ზოგიერთ სიტყვებიდან, რომელიც პარტიის კრებაზე წამოითქვა. მაგალითად, საკმაოა სტრუვეს სიტყვაც. სტრუვეს უთქვამს: მთავრობისათვის ყველაზე საშიში ის არის, კ.-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაცხადოს, რომ იგი ებრძვის უკიდურეს პარტიების ბრძოლის საშუალებას „და ჩვენ უნდა ვებრძოლოთ კიდეც ამ საშუალებასაო". აი ასე უხვდებიან ამ პარტიის წევრები სოციალისტურ პარტიებს და განა ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი ამ პარტიებთან შეერთებაზე? ამ ფიქრს ისა სჯობია, ყურადღება მიაქციონ, რომ ეს პარტიები პირველ მორიგ საკითხშიაც კი ვერ შეთანხმებულან ჯერჯერობით. ეს არის ტაქტიკის საკითხი: ფინანსური ბოიკოტი. კ.-დემ. პარტიის ორატორები ამბობენ, რომ ჩვენი პარტია უნდა იბრძოდეს მხოლოდ შეკავშირებულ საზოგადოების აზრით, ხოლო სოციალისტები ამას გარდა სხვა იარაღსაც ხმარობენო. ამიტომ უკეთესი იქნებოდა კ. დ. პარტიას ეფიქრა სოციალისტურ პარტიებთან დროებით შეთანხმებაზე და არა შეერთებაზე. ეს შესაძლებელია და მართლაც დიდ ძალას მოუპოვებდა ოპოზიციონურ ელემენტებს ჯერ-ჯერობით, ვიდრე თვით კ.-დემოკრატიული პარტიაც არ არის დაკმაყოფილებული. მერე კი ამ პარტიების გზები გაიყოფა. კ.-დ. პარტია ამ გზას არ ადგა და ვერც მიაღწევს თავის საწადელს, რადგან ყველა ბურჟუაზიული მემარცხენე პარტია რომ შეაერთოს, მაშინაც არ ექნება საკმაო ძალა, მით უმეტეს, რომ ეხლა დაარსდა ახალი პარტია, პარტია ცენტრისა, რომელიც აერთებს 17 ოქტომბრის პარტიების მემარცხენეებს და კ.-დემ. პარტიის მემარჯვენეებს. სოციალისტური პარტიები ვერ შეუერთდებიან კ.-დემოკრატიულ პარტიას კიდევ იმიტომ, რომ რევოლიუციის დროს ყველა ცოტად თუ ბევრად მარცხნივ იწევს, ასე იქცევა ეხლა კ.-დემოკრატიული პარტიაც, ხოლო როცა ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება, შეიძლება ამ პარტიამ მარჯვნივ მიიწიოს. რევოლიუციამდის ხომ პარტიაც საყოველთაო კენჭის ყრის წინააღმდეგი იყო.

პარტიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ დრო ძვირფასია, მით უმეტეს, რომ ეს პარტია სულ სხვა და სხვა ელემენტებისაგან შესდგება. თუ მან მალე არ შეასრულა თავისი როლი, როლი ოპოზიციონურ ელემენტების შეერთებისა, მერე სულ ვერაფერს გააკეთებს, რადგან პარტიას აუცილებლად ნაწილ-ნაწილად დაყოფა მოელის.

## დასავლეთ საქართველოში

**ქუთაისი.** უკვე მოგეხსენებათ, რკინის გზის გაყოლება სადგურები გადამწვარ-განადგურებულია. ქუთაისიდან ყვირილამდე ჩაველ და ის ჩემ მტერს, რაც მე გზაზე ვნახე...

ყვირილიდან გენერალი ალიხანოვი რვა იანვარს წავიდა ქუთაისში. ყვირილაში დასტოვა ჯარი—სალდათები და ყაზახები. დარჩენილმა ჯარმა მოქმედების ასპარეზი სოფლებში გადაიტანა. ჯარის კაცები ჯგუფ-ჯგუფად (20, 40, 60 კაცი) დადიან სოფლებში. უკვე მოუვლიათ ზესტაფონის ახლო-მახლო სოფლები: ქალა-ტუე, ქვემო და ზემო საქარა, შორაპანი, კლდეეთი, კვალითი და სხვ. სოფ. ქალა-ტუეში გადამწვარა ორი ოჯახი მერკვილაძეებისა. საქარაში ბევრნი აღმოჩნდნენ გაძარცულნი. შორაპნის მაზრას სულ გააწერეს 248,000 მან. თითოეულ კომლს შეხვდა 7, 8, 9 მან. შეძლების დაგვარად ხალხი სამხედრო ბეგარისა და სხვა მოთხოვნილებათა აღსრულებას შეუდგა, მაგრამ ჯარი მაინც დაიარება სოფელ-სოფელ. ასეთის მდგომარეობით შეწუხებულმა ხალხმა ამ სამი დღის წინად თავი მოიყარა რამდენსამე სამამასახლისოდან და კარგა ხნის თათბირის შემდეგ ყრიყრილობამ აარჩია სამი კაცი—დეკანოზი დ. ლამბაშიძე, რაფიელ გველესიანი და ვედევან ჩუბინიძე და დაავალა იშუამდგომლონ გენერა-გუბერნატორის წინაშე, რომ ყაზახები და სალდათები გაყვანილ იქმნან სოფლებიდან. კრებამ დაავალა აგრეთვე დეპუტატებს, გადასცეს გენერალ-გუბერნატორს: თუ დასასჯელნი ვართ, მოახდინეთ თითოეულს ჩვენგანზე გამოძიება, მოიწვიეთ სასამართლო და კანონისა და სინიდისის ქვეშ გაარჩიეთ ჩვენი საქმე, ამნაირ სასჯელს არ ვერიდებითო. დეპუტატები 12 იანვარს გაემგზავრნენ ქუთაისში, მაგრამ ვერ გავიგე, რა პასუხი მიიღეს.

მეც დავბრუნდი ქუთაისში, ჩვენს ქალაქში სიცოცხლის მაჯის ცემა შეჩერებულია. ქუჩებში ძლიერი პატრულები დადიან. ხალხი ქუჩებში მორიდებულად დაიარება. საღამოს ექვსი საათიდან მთელ ქალაქში გარეგდ კაცს ვეღარ ნახავთ. ქალაქი ღამე წყვდიადშია გახვეული. ქალაქის თვითმმართველობის საქმე ჯერ ისევ გამოურკვეველია. საბჭოს ძველი ხმოსნები აპირობენ სამსახურის განახლებას, მაგრამ ჯერ ვერ მოუხერხებიათ. ქუთაისიდან დიდძალი ხალხი გაიხიზნა, ჩემი მშობლებიც წასულიყვნენ ჯერ ხონისკენ და იქიდან სამეგრელოში.

21 იანვარს დილით მეც წავედი ხონში. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ ყაზახები. ხონში ყაზახები ჩამოხტნენ ქალთა პროგიმნაზიის სადგომის მეორე სართულში. როგორც „ცნობ. ფურცელ"-ში უკვე მოხსენებული იყო, ხონში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას დაეცნენ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი და წაიღეს 6000 მან. სხვათა შორის, ჯარმა ამ ფულის გადახდა მოითხოვა. გამოირკვა, რომ ხალხიდან ერთი კაპეიკიც არავის წაუღია. აქ ხმა დადის, ფული კანტორის მოხელეებს უნდა მიეთვისებინოთო. მცხოვრებთ გადასწყვიტეს, აარჩიონ რამდენიმე კაცი, რომელნიც პოლიციასთან ერთად შეუდგებიან ამ საქმის გამორკვევას. დაადგინეს აგრეთვე, რომ ეს ფული ეხლავე წარადგინონ დანაშაულებისაბეჭრ და შემდეგ უკან მოითხოვონ, თუ გამოძიებამ ქურდები აღმოაჩინა. ხონი მეტად ჩაფიქრებულია. ამბავი მოვიდა, რომ ყაზახებს გარდა ქვეითა ჯარიც მოდისო. ამბობენ, გენერალ-გუბერნატორის გადაწყვეტილებით, ხონში თავმოყრილი ჯარი და ყაზახები სრულის სამხედრო სურსათით ხონიდან გაემგზავრება სოფელ მათხოჯზე, გადივლის სოფელ ხუნწას, ურიათ-კარს, ნახარებოვს, მარტვილს და ჩავა ნოღაიევში. სამეგრელოში ჯარი ასე სოფლებს გადალახავს და სენაკში შეუერთდება იქ მყოფ ჯარს. მცხოვრებნი ყველგან თავდაჭერილნი არიან და არავითარ მიზეზს არ აძლევენ ჯარს სისასტიკისათვის.

საღამოს 8 საათი იყო, ცხენის წყალთან ჩაველი და იქ, ნავის მოლოდინში, ცოტას ხანს შევჩერდი. ძლიერი ზენა-ქარი ჰქროდა. ჯერ დღისითვე გავიგე, რომ საღაც შორს, გურიასა და სამეგრელოსაკენ, ცეცხლი მოსჩანსო. შეღამებული იყო, და მართლაც კარგად გავარჩიე, რომ ახალსენაკისაკენ ცა ძლიერის ცეცხლის ალისაგან გაწითლებული იყო. აშკარა იყო, რომ ცეცხლი სენაკს ეკიდა. გურიისაკენაც ცა გაწითლებული იყო. უფრო მაღლობ სერზე შევდექი და ღამის წყვდიაში გავარჩიე ალი.

როდესაც ქუთაისში დავბრუნდი, გავიგე, რომ ჯარი და ყაზახები ოკრიბასა და რაჭისაკენ ემზადებიან. გავიგე აგრეთვე, რომ სამეგრელოში პრინცესა მიურატის მამულის დასაცველად ჰგზავნიან რაზმს. ასეთ ყოფაშია ამ ჟამად დასავლეთი საქართველო...

ჩვენებური.

## ქართლში

**სურამი.** სურამში ჯარი სდგას. ქვემოთა ნაწილში ისე ღამე არ გაივლის, რომ ერთი აურ-ზაური არ ასტყდეს. იყო ისეთი შემთხვევები, რომ სახლებში შეექრნენ მცხო-

...ერებმ და იქვერობა დაიწყოს. ხალხი ჩივის და კვნესის.

19 იანვარს, ღამე, აქ ცეცხლი გაჩნდა. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ აქ სოციალ-დემოკრატებმა კლუბი მოაწყვეს და 2 იანვარს ჯარმა ეს კლუბი აიკლო [illegible]. 19 იანვარს ეს სახლი ღამით სულ ერთიან დაიწვა.

მეორე დილით, 20 იანვარს, ხალხი გამოეცხადა ჯარის უფროსს და უთხრა: თუ რომელიმე სახლის დაწვა გინდათ, [illegible]

[illegible]

რ. ბ—ლი.

**ტფ. ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ**

[illegible] ხელობა აქვს, ეს სამწუხარო ვითარებაც ყურადღების ღირსია.

ჩვენ ვამბობთ ტფილისში ქართულ ბიბლიოთეკების დახურვის შესახებ. ამას წინად დაიხურა „ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების" კანცელარიასთან არსებული იაფ-ფასიანი სამკითხველო. [illegible]

# ახალი ამბავი

✦ **გაზეთ „ნოვოე ობოზრენი"-ს დაკეტვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის ტიმოფეევის ბრძანებით, დაიკეტა, სანამ სამხედრო დროის წესებია, რუსული გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე." როგორც ბრძანებაშია მოხსენებული, გაზეთის დაკეტვის მიზეზი მე-15 ნომერში მოთავსებული მეთაური წერილი ყოფილა.

✦ **გაზეთის დაკეტვა.** 20 იანვარს ბაქოში ეს მეორედ დაუკეტიათ გაზეთი „კავკასლოვო." გაზეთი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დაიკეტა.

✦ **ხალხის შეპყრობა.** ქალაქ ფოთში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, ამ უკანასკნელ სამ დღეს, რაც პოლკოვნიკი ჩიქოვანი ჩამოვიდა, შეიპყრეს რამდენიმე კაცი. სხვათა შორის შეუპყრიათ გაფიცვის ბიუროს 15 წევრი, ორი აგიტატორი, ერთიც კიდევ სხვა კაცი, რომელსაც აბრალებენ გემის კაპიტნის, ორის ჟანდარმის და კერძო ვექილის პლოხოტნიკოვის მოკვლას. ფოთშივე აღმოუჩენიათ ოთხი-ხუთი თოფი.

✦ **დაპატიმრებული მღვდლები.** გორში, როგორც იქიდან გვატყობინებენ, განაგრძობენ იმათ შეპყრობას, ვისზედაც ეჭვი აქვთ. სხვათა შორის აპატიმრებენ მღვდლებსაც. ამ ჟამად გორის საპყრობილეში სამი მღვდელია დაპატიმრებული.

✦ **დაპატიმრებული.** ამ სამიოდე დღის წინად ტფილისში დააპატიმრეს „ივერიის" თანამშრომლად ნამყოფი ვლ. დარჩიაშვილი.

✦ **მოსამსახურეთა დათხოვნა სახლებიდან.** რკინის გზის სამხედრო უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც სამსახურიდან არიან ან იქნებიან დათხოვნილნი, სამის დღის განმავლობაში სახელმწიფო სადგომები დააცლევინონ.

✦ **კიდევ რკინის გზის მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის ბრძანებით, 13 იანვრამდე დათხოვნილ იქნა სულ 264 კაცი. დათხოვნილთა შორის მოჰყვნენ: სამი ლიანდაგის უფროსი, სამი ტეხნიკოსი, სამი დეპოს უფროსი, ორი დეპოს უფროსის თანაშემწე, ერთი კანტრალიორ-მექანიკოსი, ოთხი ზედამხედველი ტელეგრაფისა, თერთმეტი უფროსი და თანაშემწე სადგურისა, 92 კანდუქტორი, 18 მემანქანე და თანაშემწე, ნავთის მილის საქმის გამგე, 57 ტელეგრაფისტი, საპენსიო კასის გამგე, ამავე კასის საქმის-მწარმოებელი, ორთქლ-მავლების რევიზორი და სხვანი. ამათ გარდა დათხოვნილ იქნა დიდ-ძალი მუშა და ხელოსანი.

✦ **სატახტო ქალაქის გაზეთები და ქართველები.** სატახტო ქალაქის გაზეთები ჯერ კიდევ არ იშლიან და ათას სისულელეს ბეჭდავენ ქართველების შესახებ. გაზეთ „ნოვოსტ."-ში დაბეჭდილია ბათუმიდან გაგზავნილი კორესპონდენცია. სხვათა შორის ბრძენი კორესპონდენტი გურულთა შესახებ სწერს: „ამ ჟამად მთელი გურია ძალზე გამაგრებულია და ხალხიც შეიარაღებული. გურულები ჰგრძობენ თავიანთ ძალას და შეუდგნენ რაზმების გზავნას ახლო-მახლო ადგილების დასაპყრობად. ასე დაიჭირეს სოჩა, ფოთი, ნოვოროსიისკი და სხვა ნავთ-სადგურები. გურულებმა რაზმი ბათუმშიაც გამოგზავნეს, იმათი მატარებელი ახლო ციხესთან მოვიდა. მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ ციხეს ვერ აიღებენ, უკან დაბრუნდნენ. მას შემდეგ გურულები აღარა სცდილან ბათუმში შემოსვლას".

✦ **გენერალ გრიაზნოვის ძეგლი.** ამას წინად მოკლულ თ. თ. გრიაზნოვის ძეგლის გასამართავად იმის პატივის მცემელთა შორის ხელის მოწერაა გამართული ფულის მოსაგროვებლად. განზრახულია ძეგლი ტფილისში დასდგან თვალ-საჩინო ადგილას.

✦ **„რაბოჩი ლისტოკის" საქმე.** როგორც მკითხველებს უკვე ვაუწყეთ, დღეს, 25 იანვრისთვის, ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო საქმე გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის" რედაქტორების ნ. ზ. ელიავასი და ნ. ი. თამამშევისა. ამ დღისთვის ადმინისტრაციას ვერ მოუსწვრია უწყებების ჩაბარება იმ პირთათვის, რომელნიც საქმის გარჩევის დროს სასამართლოს წევრებად უნდა იყვნენ და ამისათვის საქმის გარჩევა გადაიდო 1 თებერვლისთვის. საქმის გარჩევის დროს სასამართლოს დარბაზში უცხო პირით არ შეუშვებენ.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭოს კრება.** 23 იანვარს მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. ამ კრებას ხმოსნები ბლომად დაესწრნენ. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ორი წელიწადია საბჭოში არ შეუხედნიათ. მიზეზი ალბად ის იყო, რომ ამ საღამოს გამგეობის ორი წევრი უნდა აერჩიათ, არჩევნებამდე საბჭომ რამდენიმე საქმე განიხილა. საყურადღებო იყო მხოლოდ გუბერნატორის მოწერილობა. მარშან ქალაქს უსახსრობის გამო არ წარუდგენია პოლიციის შესანახი ფული— ასი ათასი მანეთი. გუბერნატორი სწერდა, დაუყოვნებლივ შეიტანეთ ეს ფული ხაზინაშიო. რადგან ქალაქს ეხლა ფული არა აქვს და რადგან ხაზინას ქალაქისა მართებს დასაფასებელ გადასახადების ნედოიმკები, საბჭომ, გამგეობის წინადადებით, დადკინა, სთხოვოს მთავრობას, რომ ქალაქს სრულად ეპატიოს პოლიციის შესანახი ფული; თუ ვერ მოხერხდება, ეს ფული გამორიცხოს იმ 350 ათას მანეთიდან, რომელიც ხაზინას მართებს. ბოლოს მოხდა არჩევნები. ყუთი დაიდგეს ექიმმა ხატისოვმა, გამგეობის ძველმა წევრმა კოკჩაევმა და საბჭოს მდივანმა ს. ჭრელაშვილმა. პირველს ამოუვიდა 30 თეთრი და 14 შავი, მეორეს 28 თეთრი და 16 შავი, ხოლო მესამეს—16 თეთრი და 28 შავი. ამ რიგად, არჩეულ იქნენ ხატისოვი და კოკჩაევი.

✦ **ახალი განკარგულება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსმა პოლკოვნიკმა ნეიგაუზერმა ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც რკინის გზის ლიანდაგზე სიარულის ნება არავის აქვს, არც გარეშეს და არც რკინის გზის სხვა ნაწილის მოხელე-მოსამსახურეს. დამნაშავე დაჯარიმებული და დასჯილი იქმნება.

✦ **უფროსის დაბრუნება სამსახურში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსის განკარგულებით, სამსახურიდან გადაყენებული მემანქანეთა უფროსი, ინჟინერი ვასტენბურგი, 23 იანვრიდან ხელახლა შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

✦ **გზის შეკეთება.** ყარსის შტოზე, სადაც სანდარსა და სოღანლუღს შუა ამას წინად საქონლის მატარებელი გადავარდა, ლიანდაგი უკვე შეაკეთეს და 23 იანვრიდან მიმოსვლა განაახლეს.

✦ **ჯარის გაგზავნა.** ამ ცოტა ხანში, როგორც ისმის, დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანში იქ დასაბანაკებლად ჯარი გაიგზავნება. ჯარმა საუფლისწულო მამული უნდა დაიცვას. იქვე იმართება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ 23 იანვარს ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე არუთინ როსტომიანცისა, რომელსაც თამბაქოს ქარხნის „მირის" მუშის ელისაბედ ბრეიტმანის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. 1905 წელს 20 მაისს როზოვის ქუჩაზე ქვაფენილზე მდგომ ელისაბედ ბრეიტმანს როსტომიანცმა მუცელში ბებუთი ჩასცა. გამოძიების დროს როსტომიანცს უთქვამს, მე დიდს ხანს უსაქმოდ დავიარებოდი. „მირის" ქარხანაში ბევრჯელ მივედი, მაგრამ ქარხნის მმართველმა კოკიელოვმა უარი მითხრა უადგილობისა გამო. კოკიელოვმა ისიც მითხრა, უთქვამს როსტომიანცს, რომ მომკლა ბრეიტმანის ქალი, ამიტომ გადავსწყვიტე იმისი დაჭრაო. სასამართლოში როსტომიანცმა თავისი ჩვენება შესცვალა. განაცხადა, რომ კოკიელოვს ჩემთვის არაფერი უთქვამს და ეს საქმე სიმთვრალის დროს ჩავიდინეო. დაჭრილმა ქალმა განაცხადა, რომ მე არაფერი მტრობა არა მქონია როსტომიანცთან და არ ვიცი, რად დამჭრაო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო როსტომიანცი შემთხვევით ქალის დაჭრაში და გადაუწყვიტა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

✦ ბარიათინსკის ქუჩაზე ყუმბარის გადაგების შემდეგ ალექსანდრეს ბაღები ხელ-მეორედ დაიკეტა.

✦ რადგან ტფილისსა, ერევანსა და გუმბრს შორის დიდძალი დეპეშები იგზავნება, მთავრობის განკარგულებით ამ ქალაქებს შუა ერთი ახალი სატელეგრაფო მავთული იქმნა გაბმული.

✦ გამოვიდა მე-11 და 12 ნომერი (ერთად) საყმაწვილო ჟურნალი ჯეჯილისა. მოგვყავს აქვე შინაარსი:

ჩამეხუტე, მეშინიან! სურათი; მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება—ტასოსი; მამა და შვილები, იგავი—ალ. მირიანაშვილისა; რათ მოჰკლეს დედაჩემი?—ან. წერეთლისა; ბიძიას ნაამბობი (სურათები ბავშვების ცხოვრებიდან)—ალ. ნათაძესი; ფარშევანგი—ტასოსი; ერეკლე ბატონიშვილის მიხვედრილობა—ალ. სარაჯიშვილისა; ჩემი ნამდვილი მეგობარი (ტომსონით)—თეოფ. კანდელაკისა; სახუმარო გასართობი და წვრილმანი; სიმღერა, ლექსი—ბაჩანასი; უმანკო ანდრიას—ეკ. გაბაშვილისა; ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა—გაგრძელება, ე. სისოევისა. (თარგმანი)—ნ. ენუქიძისა; უდროვო კუბო, სურათი—მ. კინწერაშვილისა; ფიზიკური გეოგრაფია, პროფესორი გეიკისა (გაგრძელება—სან—ინისა; ობოლი ქალი, ლექსი—შიო მღვიმელისა; უგულო ბავშვი, მოთხრობა მონგომერისა თარგ.—ელ. წერეთლისა; ყრუ-მუნჯების და ბრმების მეგობრები (დასასრული)—ან. წერეთლისა წვრიმალნი.

✦ ჩვენს რედაქციაში გუშინ შემოვიდა ერთი რუსის დედა-კაცი, რომელმაც შემოგვჩივლა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. ქმარი ამ დედაკაცს შორეულ აღმოსავლეთში ჰყავს. თითონ ბაქოში სცხოვრობდა, მაგრამ იქ აკლების დროს, აუკლიათ იმისი სახლ-კარიც. ერთი შვილი ამ ქალისა ტფილისის რეალურ სასწავლებელში სწავლობს, მაგრამ სწავლის ფული ვერ შეუტანია. ეხლა იგი სთხოვს გულშემატკივრებს, დახმარება აღმოუჩინონ სწავლის ფულის შეტანაში ადრესი: ჩუღურეთი, განჩარნი ქუჩა, № 12.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების დაწესებულებებში ქალებს აღარ იღებენ, რადგანაც ვაკანსიები აღარ არის ახალ მთხოვნელთათვის.

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**, 24 იანვარი. გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ კავკასიის ნამესტნიკად გენ. ლინევიჩი ინიშნებაო. ლინევიჩიო, სწერენ გაზეთები, კარგად იცნობს კავკასიას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთსაო; ციხისძირის გმირი და, საზოგადოთ, სახელგანთქმული სარდალი იყო ოსმალეთთან ომის დროს კავკასიაშიო. ლინევიჩი მარტში ჩამოვა.

# ფელეტონი

## რუსეთის ცხოვრება

თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება.—ვისკენ არის რუსეთის გლეხობის სიმპატია?—ქალაქის მუშები და სათათბიროს არჩევნები.—ერთი პატარა ფელეტონი მთავრობის ნდობის შესახებ. ქორეს რუსეთზე.

როდესაც მზე ჩაესვენება და ქვეყანას შავ-ბნელი წყვდიადი მოეფინება, ღამის ფრინველები: ჭოტი, ბუ და სხვა ამისთანები, მაშინ იხელთებენ ხოლმე დროს და გამოფრინდებიან თავიანთ მიმალულ ბუდეებიდან, მაშინ გაისმის ხოლმე მათი გულსაკლავი და შემზარავი ხმა, ხალხის რწმენით, ყოველ უბედურების და ჭირის მომასწავებელი. ასეა ჩვენ შავ-ბნელ დროსაც. სანამ სამი დღის თავისუფლება გვქონდა, ყველა ქვემძრომი სოროში მიიმალა; არსად იყვნენ მაშინ „სამშობლოს გულ-მტკივნეული შვილები", არც ერთი ქვა არ ჩაუგდიათ მათ იმ თავისუფლების კედლის საძირკველში, რომელიც მაშინ ჩაიყარა. ეხლა კი, როდესაც უკუნეთმა მოიცვა ქვეყანა და ყოველი ბოროტი სული თავს დაგვტრიალებს, ისინიც გამოფრინდნენ და შავი ყორნებივით თავს დაგვჩხავიან. ეს თავისუფლების ყორნები ჰგრძნობენ ლეშის სუნს და დასტრიალებენ, რომ მიაკვნონ მას და სავსე კუჭი გამოიძღონ. ისინი თავიანთ თავს ხალხის გულ-მტკივნეულს ეძახიან, ამ ხალხის მაგიერად ფიქრობენ იმის გაჭირვებაზე და არა-მკითხე მოამბესავით აძლევენ დარიგებას. თურმე, მკითხველო, გლეხების გაჭირვება ძალიან გულში ხვდებათ მემამულეებს და თავად-აზნაურობას, ისინი სცდილობენ გლეხი „მიაშორონ იმ უფსკრულს, რომელსაც იგი მიადგა ამ ბოლო დროს თავის აგრარულ აჯანყებით. სცდილობენ, გლეხებს ხელი შეუწყონ მამულების შეძენაში, მხოლოდ ისე კი, რომ თავიანთი ინტერესებიც დაიცვან. მართლაც და არა სჯობია, რომ ორივე მხარე კმაყოფილი იყოს ერთმანეთისა და თავის ბედისა! აი ამ იდილიურ ცხოვრების დამყარებისათვის სცდილობენ საგლეხო ბანკის მოქმედება გააუმჯობესონ. იმათის აზრით, საგლეხო ბანკი აქამდის ძალიან ტენდენციურად მოქმედებდა. იგი მიმართული იყო „ხელოვნურად მიწის ფასის დაწევისაკენ". ბანკი უნდა სცდილობდეს, რომ გლეხებს ხელი შეუწყოს მიწის ყიდვაში; ამისთვის, სხვათა შორის, საჭიროა, რომ გლეხს, თემის წევრს, უფლება მიეცეს დააგირაოს თავისი ნადელი მიწის საყიდლად და მიჰყიდოს საგლეხო ბანკს თავისი ნადელი, თუ თემიდან გამოვა. გლეხი, რომელიც ფულს მიიღებს, მიწას იყიდის სხვა ალაგას სადმე ან გადასახლდება განაპირა ქვეყანაში.

მეორე საყურადღებო მუხლი, რომელიც მიღებულია გლეხობის საკეთილდღეოდ, შეეხება გლეხობის გადასახლების საქმეს. გადასახლების საკითხი უნდა გაფართოვდეს და მოწესრიგდესო. უნდა ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ორგანოებმა მიიღონ ზომები და მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხის გადაწყვეტაში, რაც შეიძლება მალე უნდა აღინუსხოს ის მიწები, რომელზედაც უნდა გადასახლდნენ გლეხები. აი მართლაც პროექტი, სწორედ გლეხების საკეთილდღეოდ შედგენილი. სად იყვნენ აქამდის „სამშობლოს მცველები", რომ წინადვე არ დაიხსნეს სამშობლო განსაცდელისაგან! თურმე ასე ადვილი ყოფილა ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა და ჩვენ კი რთულ საკითხს ვუწოდებდით. თურმე აგრარულ მოძრაობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ საგლეხო ბანკები მეტად მაღგომით აფასებდნენ მიწას, გლეხებს მხარს უჭერდნენ. ალბად, ამ ბანკების მოღვაწეებიც „სამშობლოს მოღალატენი" ყოფილან. საკვირველია მხოლოდ, რად დაჰვიწყებიათ „მამაც მამულიშვილთ", რომ ეს გლეხების მომხრეები სამართალში მიეცათ ან ციხეში ჩაესხათ.

რაც შეეხება გადასახლების საქმეს, ჩვენ აქამდის სხვანაირად გვქონდა იგი წარმოდგენილი. რამდენს ამბობდნენ, რომ განაპირა ქვეყნებში, როგორც, მაგალითად, კავკასიაში, უფრო მეტი სივიწროვეა მიწისა, ვიდრე შიდა გუბერნიებშიო. თურმე ყველა ეს სისულელე ყოფილა. ეშმაკობენ „ვერაგი აზიელები". ალბად მათრახები, და ხიშტები უნდათ, რომ მიიწ-მოიწიონ და დასცალონ ადგილები შიდა გუბერნიების გლეხებისათვის, შიდა რუსეთში კი, ალბად, მეტად ცოტაა, მეტადრე საბატონო· აქ ერთი იგავი მაგონდება ცხენისა და მგლისა: გამაძღარმა მელიამ თავის ქვეშ ქათამი შეინახა ვახშმად და, როდესაც დამშეული მგელი მოვიდა და შეევედრა, მაჭამე რამეო, მელიამ თავა მისთავაზა, თავის ქვეშ შენახულ ქათამზე კი ხმა არ ამოიღო.

**

ასე ზრუნავენ გლეხებისთვის უმაღლეს წოდების წრეებში; ასე სწყვეტენ ისინი რთულ აგრარულ საკითხს. თვით გლეხები კი სულ სხვაფრივ ფიქრობენ. ავიღოთ, მაგალითად, ის გლეხთა კრება, რომელიც მოხდარა წარსულ ზაფხულში მოსკოვის მახლობლად და რომელსაც გლეხთა ასზე მეტი წარმომადგენელი დასწრებია. ამ კრებას ვერავინ უკიჟინებს იმას, რაც ზოგიერთმა გლეხთა კავშირის წარმომადგენლების კრებას უკიჟინა: გლეხთა კავშირის კრებაზე ერთი გლეხიც კი არ იყოო. ამ კრებაზე სულ ქალამნიანი და ტყავიანი გლეხები იყვნენ. ეს თვით კრების მიმდინარეობასა და იმ სიტყვებზედაც ეტყობა, რომელიც კრებაზე წარმოუთქვა· კითხულობ ბ-ნ ტანის აღწერას ამ კრებისას და გრძნობ, რომ რაღაც ახალ ცხოვრებაში ხარ, სადაც სულ სხვა აზრები და გრძნობებია, ვიდრე „მაღალ წრეებში". ის ძალდაუტანებლობა, ის სხვა და სხვა წესებით და ჩვეულებებით შეზღუდვა, რომელიც მაღალ წრეების კრებებზე ხდება ხოლმე, აქ სრულიად არ იყო. გრძნობ, რომ ეს ის წრეა, სადაც ახალი საღი ცხოვრებაა ჩასახული და, ადრე თუ გვიან, ეს ცხოვრება უნდა დაიბადოს. ჩვეულებრივად უბრალოდ და ადვილად გადასწყვიტეს გლეხებმა აგრარული საკითხიც, მემამულეებთან დამოკიდებულებაც და, ასე გასინჯეთ, ქალთა საკითხიც. გლეხებმა ჯერ ილაპარაკეს იმაზე, თუ ვინ საიდან არის გამოგზავნილი, როგორ ირჩევდნენ გლეხები თავიანთ წარმომადგენლებს კრებაზე დასასწრებლად, რანაირად უშლიდა მათ ხელს სოფლის ბიუროკრატია და რანაირად დასძლიეს ეს დაბრკოლება. ერთ „ზემსკი ნაჩალნიკს" თავისებური ხერხი უხმარია გლეხების დასამშვიდებლად; ჯერ უთქვამს, რომ ჩვენს იქით იმედი არავისი არ უნდა გქონდეთ, თორემ თქვენც იმ დღეს დაგაყენებთ, რა დღესაც სხვა გლეხებს აყენებენო. მერე უთქვამს: „ჩვენ ერთი ცნობილი გავლენიანი პირი გვყავს, რომელიც დაგეხმარებათ. ის მოგიხერხებთ, რომ სახაზინო მიწაზე გადაგასახლონო. მშვენიერი მიწაა ეს სახაზინო მიწა, დღემდის ჯერ არავის გუთანი არ გაუტარებიაო". ერთ გლეხს ამაზე უპასუხნია: „ეგეთი მიწა თქვენ, თავად-აზნაურებმა, მიირთვით. ჩვენ უმაგისოდაც წელი გვწყდება ბევრი მუშაობით. ამაზე მეტი ასეთი სიცოცხლე არ იქნებაო. ეხლა ყველგან მიწის სიმცირეა, ყველგან მღელვარებაა. მაგრამ ჯერ კი უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვინდა თავისუფლება, საყოველთაო და თანასწორი კენჭის ყრა, საკანონმდებლო კრება."

ამის შემდეგ გამოსულან ორატორები სხვა და სხვა საკითხების გასარჩევად. ერთ იმათგანს, სხვათა შორის, შეუდარებია პროგრესიული გამოცემები რეაქციონულთან და უთქვამს: „რა უფლება აქვთ კურსკის მედუქნეებს და სხვა და სხვა კარლამალიებს (ეს „მოსკოვის ვედომოსტები"-ს რედაქტორია) გლეხთა სახელით ილაპარაკონ? მე მომანდეს, რომ შავ რაზმელებსა და ხულიგანებს ზიზღი გამოვუცხადო და ინტელიგენციას-კი, ჩვენ ნამდვილ გულ-შემატკივარს—სრული ნდობა. ჩვენ თუ ჩვენს სწავლულ ძმებს შევუერთდებით, ინტელიგენტებს მაშინ ძალა არ მოიპოვება, რომ ჩვენ დაგვძალოს". ამ სიტყვებს მოჰყვა ტაშის კვრა. ერთმა გლეხმა ველარ მოითმინა, წამოხტა და დაიყვირა: „ურა! ეხლა ჩვენ ყველაფერს მივხვდით. სტუდენტები? (გლეხები სტუდენტს ყველა სოციალისტს და გლეხების მომხრეს უწოდებენ). თავი უნდა დავდოთ მათთვის და სხვა არაფერი"...

ამის შემდეგ ილაპარაკეს სათემო მიწათ-მფლობელობის შესახებ. თითქმის ყველანი სათემო მიწათ-მფლობელობის მომხრენი აღმოჩნდნენ. მალოროსიელნი, სადაც თემები არ არის, უფრო მეტის მხნეობით იცავდნენ თემების საჭიროებას, ვიდრე ველიკორუსები, თუმცა ესენიც „ობშჩინის" მომხრენი იყვნენ. სულ უბრალოდ გადასწყდა ის საკითხიც, თუ როგორ ჩამოერთვას მიწა მემამულეებს, უსასყიდლოდ თუ გამოსყიდვით.

„მიწის გამოსყიდვა მე გულს მიმღვრევს, —უთქვამს ერთს,—მოიგონეთ ჩვენ ბებიებს როგორ ჰყიდდნენ შარაბანთან ერთად, მათ ძუძუს ლეკვებს აწოვინებდნენ, ეს განა გამოსყიდვა არ არის? ეს სისხლით გამოსყიდვაა. ჩვენ ბოჩკებით ვაქციეთ სისხლი. ნუ თუ ეხლა ოქრო უნდა ვაძლიოთ ბოჩკებით"?

ეს სიტყვა ყველამ მოიწონა, მაგრამ მაინც ბევრი გამოსყიდვის მომხრე იყო.

„ჩვენ არა გვაქვს უფლება,—სთქვა ერთმა:—ხელიდან გამოვგლიჯოთ მათ საკვები და ქუჩაში დავარჩინოთ მშიერ-მწყურვალნი. მივცეთ იმათ პენსია, სანამ ცოცხალნი არიან". „—მივცეთ სამასი მანეთი წელიწადში თითოს,—დაეთანხმა მეორე:—ერთის სიტყვით, იმდენი, რამდენიც საჭიროა, რომ კულტურულმა კაცმა იცხოვროს გაუჭირვებლად".

გამოსყიდვა არ უნდა იყოს,—უპასუხა ამათ მესამემ:—ვინც ხუთი დესეტინა მაინც იყიდა, ეს სხვის შრომით იქნება ნაყიდი". ამას დაეთანხმა მეოთხე: „ჩემმა პაპამ სისხლით ნაშოვნი კაპეიკები აგროვა და იყიდა 35 დესეტინა, მაგრამ არ მინდა ეს მიწა. ჩვენ იმითი საკმაოდ ვისარგებლეთ, იმასაც საზოგადო მიწის ფონდს ვსწირავ. არ მინდა ამისათვის სასყიდელი".

„თქვენ რომ ჰაერი და წყალი მიისაკუთროთ, ისიც გამოვისყიდოთ?—ირონიულად შენიშნა ერთმა". ეს საკითხი ვერ გადასწყდა, რადგან ზოგიერთ გუბერნიების წარმომადგენელნი ჯიუტობდნენ და ამბობდნენ: ჩვენი გლეხები გამოუსყიდლად დათანხმდებიანო. კრებამ, სხვათა შორის, გადასწყვიტა, არ მიიღოს ადმინისტრაცია სოფელში, გარდა დროებით ამორჩეულისა, მსაჯულებიც ამორჩეულნი უნდა იყვნენ. თა-

→ პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ნება დართო კრებების და მიტინგების გამართვისა. მიტინგები და საჯარო კრებები [illegible] პეტერბურგს. მოხდა კრება კავშირთა კავშირისა; [illegible] „კონფედერაცია“, რომელშიაც იქნება ცენტრალურ და ადგილობრივ კავშირთა წარმომადგენლები.

→ [illegible]

→ [illegible]

## პრესსა

პრიბალტიის მხარეში აგრარული მოძრაობა [illegible]

[illegible]

[illegible] ბი მალე გამოვლენ ამ უბედურ ქვეყნიდანაო.“ გამოვლენ და მერე რას დასტოვებენ მცხოვრებლების გულსა და გონებაში. შიშთან ერთად, გაცეცხლებული მძულვარება ისე საშინლად, ისე უზომოდ გროვდება, რომ იმას არ შეუძლიან თავზარდამცემი შედეგი არ გამოიწვიოს; რა თქმა უნდა ამ მძულვარების ალი მოხვდებათ არა ეხლანდელ დამამშვიდებლებს, არამედ ყოველსავე რუსულს, ყოველსავე რუსის მთავრობას, რომელიც „მშვიდობიან“ დროს იმმართველებს ამ ქვეყანაში.

რუსეთის გავლენისთვის ეს განწყობილება ათასჯერ უფრო სახიფათო იქნება, ვიდრე „ნოვოე ვრემია“-საგან და მის დამქაშებისაგან შეთხზული ლატიშთა და ესტონელთა რესპუბლიკები

როგორ უნდა მოეწყოს ასეთს პირობებში ამ ქვეყნის მმართველობა? გვგონია, როთ თვით უბრძნესი ადმინისტრატორიც კი ვერაფერს ვერ მოახერხებს. ან იქნება მაღალგვარეულობის მემამულეებს გადაეცეს სოფლების უფლებები, იქნება აღდგენილ იქმნას მემამულეების იურისდიქცია გლეხებზე, შინაური (ვოტჩინური) პოლიცია და სხვა მშვენიერებანი ბატონყმურის წყობილებისა? შესაძლოა, ზოგიერთებს იდეალადაც მიაჩნდეთ ეს აღორძინება ფეოდალიზმისა, მაგრამ ამისთვის ამ მხარეში რამდენსამე კორპუსის შენახვა იქნება საჭირო, ეს კორპუსები იმავ ბარონების ხელქვეითად უნდა იყვნენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავის ახალის ყმებისაგან ამოწყდებიან. აგრარული მოძრაობა ხომ მაშინვე იწყება, რა წამს სამხედრო კამანდა ციხეს თავს ანებებს...

კორპუსები ფეოდალიზმის განსაახლებლად—რა თქმა უნდა, ბარონების ფანტაზიაა... მაგრამ, აი ერთ-ერთი რაზმის უფროსი ემუქროდა ხალხს, რომ მცხოვრებლებს გადაასახლებს და მათ ადგილას ჩრდილოეთიდან სხვა მოსახლეებს გადმოიყვანს. ეს უკვე „პატრიოტულ“ პარუჩიკების პროექტია. რა უნდა იფიქროს ამ ადმინისტრატიულ უტოპიის შესახებ გლეხობამ, რომელია წინსპარნი ჭთელ საუკუნეთა განმავლობაში ჰრწყავდნენ ოფლით სამშობლო მიწას.

პრიბალტიის გლეხობას ვერც მოსპობენ, ვერც გადაასახლებენ, ვერც ყმებად აქცევენ. ეს ფაქტია და არა თეორია. როგორ იმოქმედებს რუსის მთავრობა იმ სულიერ განწყობილების პირისპირ, რომელსაც დამშვიდება იწვევს? პასუხი ამ კითხვაზე ბევრს თავისტკივილს, ბევრს მწუხარებას მიაყენებს რუსეთის ხალხის არა ერთს თაობას. მაგრამ რაში ეკითხებათ ეს „დამამშვიდებლებს“? ეხლა ხომ ისინი დროზე იღებენ თავის საჩუქრებს, მომავალი კი, როგორიც უნდა იყოს იგი, მათთვის არავითარ ინტერესს არ შეიცავს.

რეპრესიებით ისტორიის აუცილებლობისთვის ჯერ ვერავის მოუხრევინებია ქედი და ვერც პრიბალტიის მხარეში მეომარ რაზმების უფროსები დაატრიალებენ უკუღმა ცხოვრების ჩარხს. რაც მეტს სიმკაცრეს გამოიჩენენ ეხლა ისინი, რაც უფრო სასტიკად დაამარცხებენ გამოღვიძებულ მშრომელ ხალხს, მით უფრო მეტი იქმნება ბიუროკრატიულ მმართველობის ზნეობრივი დამარცხება, მით უფრო მოახლოვდება დღე ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებისა.

თოფ-ზარბაზნის წინაშე გაჩუმება—სულით დაცემა არ არის. სამხედრო იარაღის პარპაშს დრო მოსპობს, სული კი დარჩება.

## სურათების გამოფენა

„სურათების უმრავლესობა პეიზაჟია, პეიზაჟის უმრავლესობა ეტიუდებია, ეტიუდების უმრავლესობა კი სულ ერთისა და იმავე უფერულ და მოსაწყენ ჰანგების განმეორებაა. საკვირველია ჩვენის მხატვრების ერთფეროვნება და სიწვრილმანე: უკანასკნელ სამ-ოთხ გამოფენაზე მხოლოდ და მხოლოდ ეტიუდებსა და ესკიზებს ვხედავდით, თითქო ეს ეტიუდები და ესკიზები ის მოსამზადებელი შრომა და მასალა იყო, რომლის შეერთებითა და შეკვრით დღეს თუ ხვალ მხატვარს ერთი დიდი და მთლიანი სურათი უნდა შეექმნა. მაგრამ ეს მთლიანი და დიდი სურათი არსადა სჩანს, ეტიუდები კი ყოველ გამოფენაზე უმრავლესზე უმრავლესია. მართალია, დიდი სურათები თითქმის ყოველ გამოფენაზე იყო, მაგრამ ეს სურათები მხოლოდ გადიდებულ ეტიუდებს წარმოადგენენ და სხვა არაფერს“.

ამას ვწერდი შარშანწინდელ შემოდგომის გამოფენის შესახებ. სამწუხაროდ, ეს სიტყვები და დახასიათება ზედგამოჭრილია ეხლანდელ გამოფენაზედაც.

„დიდების ტაძარში“ გამოფენილია 250 სურათი და ქანდაკება. საზოგადოდ პროვინციასა და კერძოდ—მხატვრობით უკან ჩამორჩენილ ტფილისს სამართლიანად შეუძლიან იამაყოს ასეთ მშვენიერ მოსავლით. 250 სურათი, სწორედ მოგახსენოთ, მართლაც რომ მშვენიერი მოსავალია, მაგრამ, ვაი ამ მოსავალს! რაც კავკასიელ მხატვრებს ამ ერთი წლის განმავლობაში გუნებაში მოსვლიათ და რაც კი დაუბღაჯნიათ (მაპატიონ ჩვენმა მხატვრებმა ეს სამართლიანი ტერმანი), სულ „დიდების ტაძარში“ მოუგროვებიათ და მისთვის სურათების გამოფენა დაურქმევიათ. სურათების დიდი უმრავლესობა უშნო Natur murt-ები და ორ გოჯიანი ეტიუდებია. მერე ნამდვილი ხელოვნება მაინც სჩანდეს ამ ეტიუდებში, 250 სურათიდან შეიძლება მხოლოდ ათიოდე პეიზაჟს გაუჩერო თვალი და ცოტაოდენი სიამოვნება იგრძნო, დანარჩენებს კი ისე გაურბის თვალი, როგორც მათს ავტორებს სამხატვრო იარაღი, სიმართლე და შემოქმედება გაურბოდათ.

პეიზაჟისტებიდან ყურადღებას იქცევს ძველი ნაცნობი, აკვარელისტი კანდაუროვი, ის არ მისდევს დიდსა და რთულ სურათებს, სამხატვრო იარაღს ფართოდ და გაბედულად ხმარობს და სწრაფად მუშაობს. კარგად ეხერხება მცენარეულობის ხატვა და ჰაერის გადმოცემა. ეხლანდელ სურათებში აღსანიშნავია მისი „გელათის მონასტერი“ (№ 106), „ნუში ყვავის“ (№ 110) და „შემოდგომა“ (№ 114).

ბაშინჯაგიანს ერთ დროს ორტოდოქსი რომანტიკოსი ვუწოდე. იგი მართლაც ნამდვილი რომანტიკოსია პეიზაჟში, მხოლოდ იმ განსხვავებით კი რომ უწინდელი რომანტიკოსები სენტიმენტალურ პეიზაჟს ზედ აკრავდნენ რომანტიულ ჟანრსაც, ბაშინჯაგიანი კი ამგვარ ჟანრს ერიდება და მთელ თავის ძალ-ღონეს ალევს მდორე და ათას ნაზ-ფერით განათლებულს, საოცნებო ღრუბლებს. მათს ანარეკლს, მთვარეს და... არარატის მთას, ბაშინჯაგიანი მხოლოდ იმას სცდილობს, რომ დილიდან საღამომდის და საღამოდან დილამდის ზღვაზე, არარატის მთაზე, მდინარეზე და სადმე ხეობაში ბუნებას უთვალ-თვალოს და თუ სადმე ზემოხსენებულ ჰანგს მოჰკრა თვალი, მაშინვე ფოტოგრაფიულ აპარატით გადმოიღოს იგი და ისეთი ელფერი მისცეს, როგორც შეეფერება იმის რომანტიულ ბუნებასა და ხასიათს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ ეს მხატვარი თავის სფერაში დახელოვნებული მუშაა. მდორე წყალი, ვარდისფერი ღრუბლები და მთვარიანი ღამე მისი ამპლუაა, და ამ როლებს არა ღალატობს. იმის 25 სურათიდან ცოტად თუ ბევრად თვალს იპყრობს „სომეხთა სასაფლაო“ (№ 19), „ანარეკლი“ (№ 18) და „საღამო ჟამი ზამთარში“ (№ 30)

ზახაროვი თვალსაჩინო და მეტად ნიჭიერი პეიზაჟისტია. რამდენისამე წლის წინად ზახაროვი ნამდვილი მონა იყო სამხატვრო იარაღისა და მოთმინებისა. ამ თვისებას მხოლოდ შარშან წინ უღალატა. მეც მაშინვე აღვნიშნე ეს ცვლილება და იმედი გამოვთქვი, რომ ზახაროვი ერთ დროს სავსებით გაინთავისუფლებს მეთქი თავს ამ ბატონყმობიდან. ჩემი მოლოდინი გამართლდა. ის ამ ჟამად უნიჭიერეს პეიზაჟისტად უნდა ჩაითვალოს კავკასიელ მხატვრებთა შორის. ზახაროვი მრავალ-მხროვანი მხატვარია, თემა და ფერები ბევრი აქვს, ბუნების საიდუმლოება ხელში უპყრავს და სამხატვრო იარაღსაც თავისუფლად ხმარობს. მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: კარგი იქმნება, დიდ სურათებსაც იმდენი წამალი მოახმაროს და ისევე ფართოდ მოუსვას, რამდენსაც პატარა ეტიუდებს ახმარებს. მშვენიერია მისი „მყინვარი დილით“ (№ 87), „მყინვარი“ (№ 88), „ავლაბარში“ (№ 83) „მზის ჩასვლა“ (№ 91) და ერთად შეკრული თორმეტი პატარა ეტიუდი.

ახალ სკოლის მიმდევარს ფოგელს, სამწუხაროდ, წინ სვლა არ ეტყობა. მისი დიდი სურათი „საღამო“ მეტის მეტად აჭრელებულია, წყალიც უფრო ნაკლები რეალისმითა და სინამდვილით არის დახატული, ვიდრე იმის წინანდელ სურათებზე გვინახავს. მეორე დიდი სურათი „ღრუბლები“ (№ 187) მაყურებელს ვერ აკმაყოფილებს, რადგან სურათის ცენტრი—ღრუბლები მოუხეშავად არის დახატული და მათი ფორმაც ბუნებრივი არ არის. ასეა თუ ისე, მისი „საღამო“ (№ 186) გამოფენას ამშვენებს და ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იმის ავტორს თვალსაჩინო ძომავალი აქვს.

ფოგელის ამხანაგს სკლიფასოვსკის ახალი არაფერი უთქვამს და სულ უბრალო ეტიუდებზე იხარჯება. სკლიფასოვსკი, უეჭველია, კარგი ნიჭის პატრონია. მაგრამ ნიჭის ასეთი დახურდავება ფართო შემოქმედებითის ნიჭის უქონლობას ამტკიცებს და ავტორს სახელს უფუჭებს.

ვერაფერს ვიტყვი მოხუც ზანკოვსკიზე: ისევ მთები, ისევ ნისლი, ისევ ტყიანი ხევი და ახალა კი —არაფერი.

ეხლა რამდენსამე სიტყვას ვიტყვი განსაკუთრებით ქართველ მხატვრებზე. ბ-ნ გაბაშვილს მუშაობაზე ხელი აუღია, ერთ წერტილზე გაჩერებულა და სულ პორტრეტების გარშემო ტრიალებს. აგერ ორი თუ სამი წელიწადია, რაც გამოფენებზე იმის სურათები აღარა სჩანდა და არ ვიცოდით, აკეთებდა რასმეს თუ გულხელდაკრეფილი იჯდა. ამდენ დუმილის შემდეგ გამოფენაზე პირველად ვხედავთ იმის სამ სურათს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სამ პორტრეტს: „ქართველი ქალი“, „მწუხარე“ და უცნობის პორტრეტი. სამსავე სურათს რაღაც ახალი ჰანგი და ხატვის მანერა ეტყობა. ის ფართო და გაბედული მოსმა, რომელიც ამ მხატვრის წინანდელ პორტრეტებს ეტყობოდა, ეხლა აღარა სჩანს. იმის პორტრეტებს ეტყობა წვრილმანი, დინჯი და მხდალი შრომა, რაიც სანუგეშოს არას მოასწავებს. გარდა ამისა, გაბაშვილი ჩრდილებს რაღაცნაირ მომწვანო ფერებით აღნიშნავს, რის გამო იმის სურათები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, თითქო დახატული ტიპები დახავსებულან, დაჟანგებულან და დაობებულანო. მისი სურათი „მწუხარე“ უფრო მრისხანებასა და ბღვერას ჰგავს, ვიდრე მწუხარებასა და თავგანწირულ სულის კვეთებას. უსახელო პორტრეტი გაცილებით ნაკლებ ექსპრესსიითა და სიძლიერით არის დახატული, ვიდრე მისი წინანდელი „ვაჭრები“ და ქალაქელი ტიპები.

არც თოიძეს წაუწევია წინ. მისი დიდი სურათი „მარნიდან“ მხოლოდ დიდი ეტიუდია მიუხედავად იმისა, რომ ტიპიური იმერელი მებაღე მშვენივრად არის დახატულა.

ახალგაზდა მხატვარი ბერიძე დიდ იმედს იძლევა. იმის სამ სურათს № 38, 39 და „პორტრეტს“ ცხადად ეტყობა სამხატვრო დახელოვნება და შემოქმედებითი ნიჭი. ამ სამ სურათში ძალიან კარგია „პორტრეტი“ (№ 37), რომელზედაც მშვენივრად არის აღნიშნული ტანჯვა, ფიქრი, განცდილი უბედურება და სულიერი ძალა აღნიშნულ ტიპისა. ვურჩევ ბ-ნ ბერიძეს ყველგან ისე სქლად და უხვად იხმაროს წამლები, როგორც ამ პორტრეტზეა ნახმარი და თავიდან აიცილოს ის წვრილმანი და გაუბედავი მანერა ხატვისა, რომელიც, სამწუხაროდ თითქმის ყველა ახალგაზდა მხატვარს ემჩნევა.

გ. ა.

## თეატრი და მუსიკა

**ოპერა ქართულად.** ოპერა ქართულად თან და თან ფეხს იკიდებს. როგორც მკითხველებმა იციან, ჯერ ჯერობით წარმოდგენილ იქმნა „სვილიელი დალაქი“ და „დემონი“. ორივე ოპერამ რიგიანად ჩაიარა. ეხლა განზრახულია სხვა ოპერების დადგმაც. ამ მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება ორი ოპერა: „ტრავიატა“, მუსიკა ვერდისა და „კარმენი“ ბიზესი. წინად ძნელი იყო მომღერალის შოვნა. ეხლა კი სხვა და სხვა ოპერაში სულ სხვა და სხვა პირი იმღერებს. „ტრავიატაში“ მონაწილეობას მიიღებენ კნ. გურამიშვილისა, რჩეული, დავ. გედევანიშვილი და სხვანი. დირიჟორად იქნება ბ-ნი ქართველიშვილი. „კარმენში“ მონაწილეობას მიიღებენ ქ. მიტკევიჩისა, ცხომელიძე. მ. ნანობაშვილი და სხვანი. დირიჟორად იქნება ბ-ნი ფალიაშვილი. ეს ორივე ოპერა ძნელი შესასრულებელია და თუ ამასაც დასძლევენ, ოპერის საქმე ქართულად მტკიცედ მოიკიდებს ფეხს.

**მუსიკის მოღვაწეთა საზოგადოება.** ტფილისში შესდგა მუსიკის მოღვაწეთა საზოგადოება. 22 იანვარს ტფილისის საკრებულოს დარბაზში შესდგა ამ საზოგადოების კრება. არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრნი. თავმჯდომარედ აარჩიეს—დ. ფ. კნინა, ხაზინადრად—კ. მ. ნაიდიონოვი, მდივნად—ა. ა. ზრეინტერი, წევრებად—მ. ტ. ვასილიევი და ზ. პ. ფალიაშვილი, ამათ კანდიდატებად—ი. მ. მატკოვსკი, ლ. ი. შერმოვი და ი. ა. მაშნერი.

**პაპაიანის გარდაცვალება.** ქალ. ასტრახანში გარდაცვლილა ტფილისში კარგად ცნობილი მომღერალი, სიმპერატორო თეატრის არტისტი ქალი ნ. მ. პაპაიანი.

**რუსული დრამა.** ნიკიტინის ცირკის სადგომი გადაკეთებულ იქმნა თეატრად. ამ თეატრში წარმოდგენების გამართვას დაიწყებს რუსული დრამატიული ამხანაგობა. პირველი წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 20 იანვარს. წარმოადგენენ „სასჯელს“ დრამა გესი.

## რუსეთი

**გლეხთა მოძრაობა.** სარატოვიდან გაზ. „ვეჩერ. გოლ.“-ს სწერენ, რომ ბალაშოვისა და პუროვის სლობოდებში გლეხები მემამულეებს იკლებენო. ყაზახების მოქმედებამ მოთმინებიდან გამოიყვანა გლეხები და ესენიც, სადაც კი შეხვდებიან, არ უშვებენ. გლეხები იარაღდებიან თოფებით და რევოლვერებით.

პოლტავის გუბერნიაში ხოროლის მაზრაში გლეხებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მოძრავ რაზმს. გლეხებთაგან დაიჭრა 12 კაცი.

კონსტანტინოგრადსკის მაზრაშიაც დაიწყო მოძრაობა, მაგრამ ჩააქრეს. ეხლა ერთი რაზმი კობელიაკის მაზრაში წავიდა, სადაც დიდი მოძრაობაა.

---

ნასწორობა ენებისა და ეროვნებისა, აგრეთვე სქესებისა. ეს უკანასკნელი საკითხი მეტად უბრალოდ გადასწყდა.

„ჩვენ გვინდა, რომ თვითოეულ ქალის სულზედაც ჩვეულებრივი ნადელი იყოს დანიშნული. ამაზე დიდი უფლება არ არის,—სთქვა ერთმა გლეხმა და კითხვა გადასწყდა. მართლაც და რა აზრი აქვს რუსეთში ქალის უუფლებობას, როდესაც ეს ისევე მუშაობს, როგორც მამაკაცი. ბევრი რამ ითქვა კიდევ საყურადღებო.

ასეთ შეგნებას იჩენს რუსეთის გლეხობა. ბიუროკრატიას-კი ეს გლეხობა ისევ ძველის დროის გლეხობად მიაჩნია და ძველებურად ექცევა. ასევე ექცევა იგი ქალაქის მუშებსაც, რომელნიც უფრო მეტად შეგნებულნი და გაგებულნი არიან, ვიდრე სოფლის გლეხობა. ბიუროკრატია სცდილობს როგორმე მხარი აუქციოს პროლეტარიატს, არ შეხვდეს მას პირისპირ და ყოველ ზომებს ხმარობს, რომ სახელმწიფოს ცხოვრების გარეშე დააყენოს იგი. ერთი საშუალება ამისი ხომ თვით არჩევნების წესებია, რომელიც, როგორც უკვე იცის მკითხველმა, მუშებს ძალიან ცოტა საარჩევნო ხმას აძლევს და ამის გამო ყველა დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო სათათბიროში მუშათა არც ერთი დეპუტატი არ მოჰყვება. ამას უნდა დავუმატოთ საზოგადო ატმოსფერა, რომელიც შეჰქმნა მთავრობამ ამჟამად, რომელიც არჩევნების დროს ხელს შეუშლის ყოველ პარტიას, გარდა რეაქციონულ და რეტროგრადულ პარტიებისა. ყველა ამის გარდა მუშებს სხვა რეპრესიებიც დაატეხა თავს მამაცმა ადმინისტრაციამ. ვილაპარაკოთ გაზ. „ნარ. ხოზ.“-ს სიტყვით: „იმ დროს, როდესაც რადიკალურ წრეებში ჰქოდნენ იმაზე, ბოიკოტი გამოვუცხადოთ სათათბიროს, თუ არაო, მთავრობა გაცხარებით სცდილობდა შეექმნა ისეთი „გარემოება“ მუშათა უბნებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, რომელსაც მუშათა დეპუტატები სახელმწიფო სათათბიროსთვის უშიშარ ეყო. ვინც მხნე და შეგნებული მოღვაწე იყო, სოციალისტი და თავ-დადებული დამცველი მუშათა ინტერესებისა, ასობით იჭერდა და სრულიად უმიზეზოდ. ეხლა ცსენი საპყრობილეებში სხედან. ჩვეულებრივი მუშები დაშინებულნი არიან, უსაქმოდ არ დარჩნენ ქარხანების დახურვის გამო, ეშინიანთ ულმობელი დევნისა, უფასო სასადილოების დახურვისა; ადგენენ სიებს, რომლითაც ქუჩაში ულუკმო-პუროდ სტოვებენ მრავალ „არა კეთილ საიმედო“ მუშას და სხვა. ერთის სიტყვით შიმშილით, სიცივით და რეპრესიებით აიძულებენ მუშებს ქალაქიდან სოფლებში წავიდნენ. ამგვარად მუშათა უბნები ცარიელდება. ამავე დროს ქალაქებში დარჩენილ მუშათა შორის დიდი აგიტაციაა შავ-რაზმების მოწოდებებით, რომლითაც ისინი სცდილობენ ყოველივე ნდობა დაუკარგონ მუშებს განმათავისუფლებელ მოძრაობის მოთავეებისადმი; ამასთან არავითარ საშუალებას არ ერიდებიან: არც ცილისწამებას და არც ინსინუაციებს. აი ამგვარ გარემოებაში ფიქრობენ მუშათა შორის არჩევნების მოხდენას. მიტინგებისა და კრებების გამართვაზე ხომ ლაპარაკიც-კი არ შეიძლება (ამის უფლებას აძლევენ მხოლოდ ეგრედ წოდებულ „დამოუკიდებელთ“). არავითარ მოწოდებებს მუშებში არ უშვებენ, გარდა შავ-რაზმელებისა და უფლებრივ წესიერების პარტიის მოწოდებებისა“. ასე ამბობს გაზეთი და დასძენს: „ეხლა-კი გვესმის მთავრობის პოლიტიკა, რომელსაც იგი ამ ბოლო დროს დაადგაო“.

საყურადღებოა ისიც, როგორ ითხოვენ მუშებს ქარხნებიდან და რა წესით იღებენ უკან. პუტილოვის ქარხანაში მუშამ ჯერ უნდა აიღოს მოწმობა ქარხნის კანტორისაგან; აქედან უნდა შევიდეს მეორე ოთახში, სადაც პოლიციის ბოქაულია. ახლა იმან უნდა მისცეს მოწმობა. ბოქაული, რასაკვირველია, „სხვა და სხვა მოსაზრებით“ ყველას არ აძლევს მოწმობას. ამგვარად მრავალი მუშა რჩება გარეთ. სემიანიკოვის ქარხნის მუშებს უკან მიღებისათვის თურმე ხელწერილს ართმევდნენ, რომ სრულიად დაემორჩილებიან მუშაობის წინანდელ პირობებს. ესეც არ აკმარეს. ამის შემდეგ მუშები კიდევ ბოქაულთან უნდა წავიდნენ, რომელიც არჩევს ცოდვილთ და უცოდველთ, ყველა ეს უადვილებს შავ-რაზმელებს მოქმედებას და ისინიც სცდილობენ: იმათი თავ-გასულობა იქამდის მიდის, რომ ეცემიან და იკლებენ იმ მუშების სახლებს, რომელნიც ცნობილნი არიან როგორც განმათავისუფლებელ მოძრაობის მომხრენი. აქაც „უფლებრივ წესიერების პარტია“ არის გულ-ხელ დაკრეფილი. ვიღაც უცნობი პირები უხვდებიან მუშებს და ეუბნებიან, თუ უფლებრივ დაწესებულების პარტიას მიემხრობით, მოგიხერხებთ, რომ ქარხანაში უკან მიგიღონო.

* *

ამისთანა მდგომარეობაში, რასაკვირველია, მთავრობას ნდობა არ ექნება ხალხის თვალში. თუმცა-კი ნდობაც არის და ნდობაც. მთავრობა ერთის მხრივ ხელს უწყობს ხალხის გამოფხიზლებას და ამ მხრივ მხოლოდ იმის იმედი და ნდობა უნდა გვქონდეს. აი რასა სწერს ამ „ნდობის“ შესახებ გაზ. „ნარ. ხოზ.“ თავის „პატარა ფელეტონში“: „რეაქცია დღესასწაულობს გამარჯვებას; იგი თვრება თავის ძლიერებით; მაგრამ ხალხმაც არ უნდა გაიტეხოს გული: იმასა აქვს დიდი ნუგეში—ნდობა მთავრობისადმი. ნუ შეეშინდებათ იმისი, რომ გრაფი ვიტტე აღარა სთხოვს ხალხს, ნდობა გამომიცხადეთო; გქონდეთ ნდობა მთავრობისადმი, რადგან მხოლოდ მაგაშია თქვენი ერთად-ერთი ნუგეში. კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე გამოირკვა, რა გაუვალი დაბრკოლება ეღობება წინ პარტიის ორგანიზაციების მოქმედებას, უფრო მემარცხნე პარტიებზედ ხომ ლაპარაკიც-კი არ არის საჭირო. ბეჭდვითი სიტყვა შებორკილია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები: საქალაქო, საერობო, პროფესიონალური სულ ყველა შეზღუდულია. ხელ-ახლად დაგვიბრუნდა ის დრო, როდესაც ხმამაღლა და პირდაპირ მთელის რუსეთის მაგივრად მხოლოდ შავ-რაზმელები და „ნოვოე ვრემია“-ს მომხრენი ლაპარაკობდნენ; დანარჩენი რუსეთი-კი „სდუმს, რამეთუ განცხრომაშია“. იმ შავ-ბნელ დროს ტურგენევი ნუგეშს მხოლოდ მშვენიერ რუსულ ენაში ჰხედავდა, ჩვენც ჩვენ დროში კიდევ ერთ ნუგეშსა ვპოვებთ და ეს ნუგეში არის ჩვენი მთავრობა, ჩვენი ძლევა-მოსილი ბიუროკრატია, რომელსაც არაფერი არ დავიწყებია და არც არაფერი უსწავლია. მაგრამ გქონდეთ ნდობა მთავრობისადმი.

„არ შეიძლება სრული იმედი გქონდეთ პარტიების მეთაურებისა. ისინი შესაძლოა შესცდნენ პოლიტიკურ მომენტის დაფასებაში, შეიძლება ტაქტიკური შეცდომაც მოუვიდეთ. შეიძლება ჩვენ შევცდეთ ჩვენის ქვეყნის ნაზ-კანიან მცხოვრების რევოლიუციონურ და ოპპოზიციონურ მიმართულების შესახებ... მაგრამ მაინც ერთი რამ არის შეურყეველი, ერთი რამ არის ისეთი, რომელიც არ მოგვატყუებს და ეს არის ჩვენი მთავრობა.

„ჩვენის ქვეყნის მცხოვრებმა ხელ-ახლად რომ მიიძინოს კიდეცა და ჩხოვის მკვნესარად გადაიქცეს, მაინც ის, მთავრობა, მარტოდ მარტო იკისრებს რუსეთში პოზიციის გამაგრებას და ხელს შეუწყობს განთავისუფლებას. შეიცვლებიან მინისტრები, შეიცვლებიან გუბერნატორები, გენერალ-გუბერნატორები, მაგრამ პოლიტიკა დარჩება შეუცვლელი, ის პოლიტიკა, რომელიც ჰქმნის ყოველსავე ოპოზიციას, ის პოლიტიკა, რომელიც თავის ჭირად ჰქმნის თავისუფლებას. სულ ერთია, ვინ იდგება სახელმწიფოს სათავეში: პლევე იქნება, ვიტტე, იგნატიევი, თუ დურნოვო, გენერალი დუბასოვი, სკალონი, ყარანგოზოვი თუ შჩედრინსკი—საქმისთვის ეს სულ ერთია. ისინი ყველანი ერთნაირად კარგად იმუშავებენ რუსეთის თავისუფლებისთვის, გააქარწყლებენ ყველა იმ შეცდომებს, რომელიც ოპოზიციონურ პარტიებს მოუვათ და ოპოზიციონურ სულს ჯეროვან სიმაღლეზე დააყენებენ.

„მომავალ განთავისუფლების დღეს, როდესაც მოიგონებთ ყველა მებრძოლთ თავისუფლებისათვის, არ დაივიწყოთ ეს მოღვაწენიც, რომელნიც ბოროტისკენ მიისწრაფიან და თავის სურვილის წინააღმდეგ, კეთილს კი სთესვენ... იმათ საქმეს არ დაივიწყებს ისტორია. ხსოვნა იმათის გმირობისა ჩვენთვის თავმდები იქნება იმისა, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია. ნდობა მთავრობისადმი, იმის მინისტრებისადმი. იგი გაამართლებს ყველა თქვენ იმედებს, იგი გადაარჭარბებს მათ, იგი ყოველთვის იმაზე მეტს იძლევა, რასაც იმისაგან მოელით...“

მართლაც, რომ შეიძლება ვენდოთ და დარწმუნებულნიც ვიყოთ, რომ იგი თავის უმსგავს მოქმედებით დღითი დღე ამრავლებს ხალხში თავის მტერთა და თავისუფლების მომხრეთა რიცხვს.

* *

შეიძლება ზოგმა იფიქროს, რომ რუსეთის რევოლიუციის ძალას ჩვენ საკუთარ თავზე ვცდით, ამიტომ მიდგომით ვსჯით და გვგონია, რომ ბოლო ამ რევოლიუციისა ერთია: მეტად უნდობლად ვეკიდებით მთავრობას. რომ ეს ასე არ არის, რომ ბიუროკრატიულის მთავრობის დღე დათვლილია და იგი უფსკრულისკენ მიექანება თვითონვე თავის ნებით, ამას ამტკიცებს უცხოელთა აზრი. ესენი, როგორც უფრო ნაკლებად დაინტერესებულნი, უფრო მიუდგომლად მსჯელობენ ჩვენ საქმეზედ.

ჟორესი არჩევს საქციელს საფრანგეთის ფინანსისტებისას, რომელნიც ხელს შეუწყობენ რუსეთის ბიუროკრატიულ მთავრობას განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ბრძოლაში, თუ სესხს მისცემენ, და ამბობს: „თვითმპყრობელობის კრედიტის მხარის დაჭერა ნიშნავს იმის უფლების სულთ ბრძოლის გაგრძობას, მაშინ როდესაც ამ უფლების ბედი უკვე გადაწყვეტილია, თუმცა იგი ჯერ კიდევ ეძებს ხსნას, კიდევ რაღაც იმედი აქვს. საფრანგეთის რენტიერები გამოდიან მონაწილენი ამისთანა საქმისა, რუსეთის განთავისუფლების დღეს აგვიანებენ და ამით თავის თავსაც ჰღუპავენ, რადგანაც გაკოტრებას უახლოვდებიან, ყოველი ამგვარი გადადება აძლიერებს დეფიციტს და ბოლოს უფსკრული ისე გადიდდება, რომ ვერავითარი ლეგალურად მოპოვებული თავისუფლება ვერ გაავსებს.“

ამას უნდა დავუმატოთ, რომ როგორც თვით ჟორესის სიტყვებიდან სჩანს, ის ავანსები, რომელსაც საფრანგეთის რენტიერები იძლევიან, დიდი დახმარებაც არ არის ბიუროკრატიისთვის. გ.—ნ.

პავლოგრადში გამოკრულია ეკატერინოსლავის გენერალ-გუბერნატორის განცხადება, რომლის ძალითაც სხვის მიწის მიჩემებასა და დამუშავებაზე, საბატონო მამულების აკლებასა და ქირნახულის დაწვაზე, აგრეთვე გადასახადის არ გაღებაზე დამნაშავენი სამხედრო სასამართლოში იქნებიან მიცემულნი.

პოლტავაში პროკურორს მიუღია საჩივარი სოროჩინის გლეხებისაგან ყაზახებზე, რომელთაც გლეხებისთვის საშინლად უცემიათ. ამ ყაზახების წინამძღოლი სტ. სოვფილოსოფოვი ყოფილა. კიევიდან სწერენ „ვეჩერ. გოლ."-ს: თითქმის ყველა მაზრების გლეხები შეუერთდნენ სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირს. ჩერკასსის მაზრაში გლეხები გადასახადის გამოღებაზე უარს აცხადებენ. როდესაც სოფლებზე მოხელეები გაივლიან, გლეხები მათ გადასახადს ართმევენ რევოლიუციონურ ორგანიზაციების სასარგებლოდ.

**რეპრესიები.** დონის ოლქის ადმინისტრაციას წინადადება მიუცია ექიმებისათვის, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან, ან სახელმწიფო სამსახურის თავი დაანებეთ და ან კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიიდან გამოდითო.

კურსკში „სტრაჟნიკებს" საშინლად უცემიათ ხალხისთვის ეკკლესიაში მწუხრის დროს. მეტად მძიმედ დაშავებულა ორი ქალიშვილი. ყაზახებს ეკკლესიისთვის ალყა შემოურტყამთ. მიზეზი ამისი ყოფილა ის, რომ ერთ ბავშვს „სტრაჟნიკებისთვის" „სელიოდკები" დაუძახნია. სედლეცში დროებით გენერალ-გუბერნატორს გამოუცია ბრძანება, რომლის ძალითაც პოლიცმეისტრის ნება-დაურთველად არავის არა აქვს უფლება გაზეთების გაყიდვისა. სედლეცის გუბერნიაში შეიარაღებულ რაზმს პოლონელებისას ჯართან შეტაკება მოსვლია.

ვარშავაში საომარი დროის წესები ძალიან აწუხებს ხალხს. მრავლდება დამშეულთა და უსაქმურთა რიცხვი. ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა.

12 დეკემბრიდან დღემდის პეტერბურგსა, მოსკოვსა, ვარშავასა, ლოძსა, პეტროკოვსა, ტფილისსა, ბაქოსა, პიატიგორსკსა, ადესასა, ელისავეტგრადსა, ხარკოვსა, პოლტავასა, პერმსა, რიგასა და ლიბავაში დაუხურავთ სულ 78 ჟურნალ-გაზეთი. დაუტუსაღებიათ 56 რედაქტორი. ამათში 46 გაუნთავისუფლებიათ გირაოთი. სამხედრო წესები გამოცხადებულია 62 რაიონში, საგანგებო დაცვა 23 რაიონში, გაძლიერებული დაცვა 18-ში. 14 ქალაქში ციხეები სულ სავსეა და დაპატიმრებულნი პოლიციის ნაწილებში სხედან.

კიევში ლეიტენანტ ზეკლემიშევს გამოუცხადებია, რომ ვინც დაჰმალავს მეამბოხეთ ტამმას და კრაუზს, ის სიკვდილით დაისჯებაო.

სრულიად რუსეთის კრება, რომელიც უნდა პეტერბურგში მომხდარიყო, ვერ შესდგა, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით კრებები ნება დართული არ არის. ბევრი წარმომადგენელი შორიდან იყო მოსული და ეხლა ესენი გაჭირვებაში არიან, რადგან არავინ იცის, როდემდის მოუხდებათ ცდა.

გაზ. „საპალა პედტა"-ს რედაქტორისთვის ყაზახებს მათრახებით უცემიათ. ნაცემი ციხეში ჩაუსვამთ ქ. ვალკში და იქ გარდაცვლილა 13 იანვარს.

გაზ. „ვოლჟს. ვესტნ."-ის რედაქტორი სამართალშია მიცემული. გაზეთი დაჭერილია სასამართლოს გადაწყვეტილებამდე.

**ბრიგადის უფროსი პროპაგანდისტის როლში.** ერთ არტილლერიის ბრიგადის უფროსს სალდათებისთვის შემდეგის სიტყვებით მიუმართავს: „თქვენი საქმე არ არის მსჯელობა იმაზე, თუ რა ხდება თქვენ გარშემო... სიტყვა სოციალ-დემოკრატი გერმანული სიტყვაა, რუსულად ნიშნავს „ბუნტოვშჩიკს" და „რაზბოინიკს" ჩინურად კი ხულიგანს. ხულიგანები თავის მთავრობას სთხოვდნენ იმავ წესებს და თავის უფლებას, როგორც ჩვენი ხულიგანები. ეს კი შეუძლებელია და ამიტომ იმათ ვერ მიაღწიეს მიზანს, დაიღუპენ. ჩვენ ხულიგანებსაც ეს ბედი მოელით, თუ კი თქვენ მთავრობის მორჩილნი იქნებითო".

კარგად სცოდნია გერმანული და ჩინური ენა ეხლანდელ დროის პროპაგანდისტს!..

**არჩევნები ვარშავაში.** არჩევნების საქმე ვარშავაში ძლიერ ცუდად მიდის. ებრაელებს შორის არჩევნების შესახებ უთანხმოებაა ზოგი ფიქრობს, რომ საჭიროა არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ზოგი კი ბოიკოტის მომხრეა.

**ვიტტეს მოკვლის განზრახვა.** გაზ. „დეილი ტელეგრ."-ს ატყობინებენ ქ. ვილნოდან, რომ ადგილობრივმა პოლიციამ დაიჭირა ერთი კაცი, რომელიც მებრძოლ ორგანიზაციის წევრი აღმოჩნდა. ამ პირს თურმე უკისრნია, რევოლიუციონურ კომიტეტის მონდობილობით, გრ. ვიტტეს მოკვლა. გრაფ ვიტტეს თურმე წერილები იუვიდა; ურჩევდნენ გაფრთხილებულიყო და რამდენსამე დღეს სახლიდან არ გამოსულიყო.

**გუბერნატორების უფლებების გაფართოება.** გუბერნიების რეფორმების შესახებ ახალ კანონების შემუშავებამდე შინაგან საქმეთა სამინისტრო ფიქრობს გააძლიეროს გუბერნატორების უფლება. უნდათ, რომ გუბერნატორებს მეტი ინიციატივა ჰქონდეთ და ყველა საკითხის გადაწყვეტაში პეტერბურგთან მოლაპარაკება არ სჭირდებოდეთ.

**კრუშევანს ეძებენ.** „მოსკოვსკი ვედომოსტებში" შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „კიშინევის ოლქის სასამართლო ეძებს აზნაურს პავოლაკი კრუშევანს, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე-1531 მუხლის ძალით. დამალული ქერაა, ჰალარა შერთული, შუა ტანისა, 45 წლისაა და სხვა. ეს ის კრუშევანი გახლავთ, რომელიც კიშინიოვში ებრაელების აკლებას უწყობდა ხელს და თვით აკლების დროსაც „გმირობით" სახელი გაითქვა.

**რევოლიუციონური მოძრაობა.** კოვნოს გუბერნიაში 12 იანვარს „მუშა ებრაელთა საყოველთაო კავშირის" წევრს მძიმედ დაუჭრია პოლიციელი.

მოგილევის გუბერნიაში 11 იანვარს რევოლვერით მოუკლავთ ბოქაულის თანაშემწე ასონოვი.

დაბა რუდნაში ებრაელები დასხმიან სოფლის „სტრაჟნიკებს" და ერთი სასიკვდილოდ დაუჭრიათ.

ქ. ოდესაში დაუჭერიათ 8 იანვარს 7 სოციალისტ რევოლიუციონერი, რომელნიც ტერორისტულ აქტებს ამზადებდნენ მაღალ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ. უნახავთ პეტარდები, რევოლიუციონური ლიტერატურა. ერთი დაჭრილი ყოფილა იმ აფეთქების გამო, რომელიც მომხდარა 4 იანვარს იმის სადგომში. როგორც გაუგიათ, ამას შეუკვეთნია 27 ბუდე ყუმბარებისათვის. (რ. ვ.).

ვლადივოსტოკიდან მიუღიათ ცნობები, რომ ქალაქი ისევ რევოლიუციონერების ხელშია. სადგურებს ისევ წინანდელივით იკლებენ. (ს. სლ.)

როგორც „ბუნდის" პარტიის (ეს პარტია ებრაელებისაა) ორგანოდან სჩანს, პარტიას 1905 წელს 10 თვის განმავლობაში გამოუცია 2,000,000 ფურცელი და 8 ნომერი პერიოდული გამოცემისა. გარდა ამისა გამოუცია კიდევ 4 პროკლამაცია თითო 120,000 ცალად. ამისთვის „ბუნდს" ჰქონია სულ 5 სტამბა, რომელშიაც 22 კაცს უმუშავნია. სტამბების ხარჯი თვეში 1350 მანეთი ყოფილა. გარდა ამისა საზღვარ-გარეთიდან გადმოუტანიათ რუსეთში 260 ფ. და 10 გირვანქა ლიტერატურა; თვეში გადმოჰქონდათ 214,746 ცალი ბროშიურა და 18,369 ცალი პერიოდული გამოცემა. ეს სულ ცენტრალურ კომიტეტის ნამუშავარია. ამას თუ მივუმატებთ სხვა კომიტეტების მოქმედებას (ყველას თავისი სტამბა აქვს), გამოვა, რომ პარტიას აუარებელი რევოლიუციონური ლიტერატურა გაუვრცელებია ხალხში (რ. ვედ.)

**გლეხთა მოძრაობა.** სლავიანსკში, იზიუმის მაზრაში აგრარული მოძრაობაა. გლეხები ტყეს სჩეხენ.

ორგეევის მაზრაში (ბესარაბია) მანუკების მამულში გლეხები ტყესა სჩეხენ. გაუჩეხიათ 50 დესიატინამდის.

ბალაშოვის მაზრაში ს. სტროსტიანკაში ვილისტის ყრილობაში წარმოუდგენიათ დასაბუთებული განაჩენი გლეხებისა, რომელშიაც ეს უკანასკნელნი დამფუძნებელ კრების მოწვევას თხოულობენ. კოსტრომიდან იტყობინებიან, რომ ბალეევის სკოლის მასწავლებლის დაჭერის შემდეგ ახლო-მახლო სოფლებში გლეხებმა დაადგინეს, რომ მასწავლებელი დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქმნეს და დაბრუნდეს თავის სოფელში. ეს განაჩენი საერობო საბჭოში წარადგინეს. მასწავლებელი გაანთავისუფლეს.

# დეპეშა

### „რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

23 იანვარი

**პეტერბურგი.** „სლოვო"-ს გაუგონია, რომ მინისტრთა საბჭომ მოიწონა შეთანხმება ავსტრო-უნგრეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ. ხელშეკრულობას ხელს ამ დღეებში მოაწერენ.

პეტერბურგში მოვიდა პოლონელთა დეპუტაცია ქსენდზ იაგროდევსკის მეთაურობით. დეპუტატები მოვიდნენ, რათა იშუამდგომლონ პოლონეთში სკოლის საქმის მოწყობის შესახებ.

როგორც „რუს"-ი იუწყება, ფინანსთა სამინისტრო სარგებლობს სახელმწიფოში სიწყნარის ჩამოვარდნით და განაახლა ამ დღეებში მოლაპარაკება ბანკირებთან რუსის გრძელ-ვადიან გარეგან სესხის განაღდებაზე. თუ ამჟამად შეუძლებელი შეიქნა საფრანგეთში სესხის შოვნა, იმ შემთხვევისთვის ფინანსთა სამინისტრომ წინადადება მისცა ბანკირებს ხელახლა მისცენ სახელმწიფო ხაზინას კრედიტი იმავე პირობებით, რა პირობებითაც გასულ თვის ბოლოს მისცა.

**რიგა,** 23 იანვარი. 17 ოქტომბრის კავშირის რიგის განყოფილებამ დაადგინა, იშუამდგომლოს გენ.-გუბერნატორთან, საბჭოში შესვლის ნება მისცენ რუსის საზოგადოების ორს წარმომადგენელს და აგრეთვე მიუშვან სახელმწიფო სათათბიროში სამოსწილეოდ ერთი წარმომადგენელი ბალტიის პირა მხრის ესტონელებისა. რიგაში მოვიდა მთავარი რაზმები გენ.-ორლოვისა. ტუკუმის ტელეგრაფის ცნობა, ვითომც ორლოვის რაზმს მიუდგრაბენია ფაბრიკანტ დომბროვსკის სახლები გადაუწვავს.

**ყაზანი.** საერო განათლების სამინისტრომ უარი უთხრა ერობას მიიღონ ნახევარ მანეთის მიცემაზე საყოველთაო სწავლების შემოღებისთვის.

**კრემენჩუგი.** გენ.-გუბერნატორი მოუწოდებს გლეხებს, გაზაფხულზე მშვიდობიანად შეუდგნენ მიწის მუშაობას მინდვრებში, შეასრულონ მემამულეებთან შეკრული პირობები, არ გააძევონ ხოლმე მუშები სამუშაოდან და გადასახადი იხადონ. ვინც უარს იტყვის, მას ძალად გადასახლებენ და მისს ოჯახობას გააუქმებენ.

**მიტავა.** ტუკუმის აჯანყების დროს ქალაქის გამგეობა რამდენიმე ხანს რევოლიუციის ცენტრად გადაიქცა. როცა ჯარი მოვიდა, ქალაქის თავი გაიქცა, რის გამოც კასა დაბეჭდეს. როცა გახსნეს, აღმოჩნდა, რომ იქ აკლია ბევრი ფასიანი ქაღალდები, რამდენიმე ათი ათას მანეთად დირებული.

24 იანვარი.

**კრემენჩუგი.** ებრაელების 200 ოჯახი არგენტინაში სახლდება.

**სოფია.** ბულგარეთის ხომხებმა დეპეშით სთხოვეს რუზველტს, ჰააგის კონფერენციაზე შეეტანოს ხომხების საკითხი განსახილველად.

**მოსკოვი,** 23 იანვარი. უფლებ-ოპოზიციურ გაზეთის თანამშრომლებში, სხვათა შორის, ლევ ტოლსტოისაც ასახელებენ; რედაქტორი იქნება თ. ევ. ტრუბეცკოი.

**ჰელსინგფორსი.** ცნობა მოვიდა ფინლიანდიის მინისტრ სტატს-სეკრეტარად დანიშნა გვარდიის ქვეითა პირველ დივიზიის პირველ ბრიგადის კამანდირი გენ. მაიორი ლანგჰოფი.

**სარატოვი.** მოვიდა გზათა მინისტრი ნემეშაევი გაფიცვით გამოწვეულ ზარალის გამოსაკვლევად.

**კიევი.** გუბერნატორმა დაკმაყოფილა უმანის ებრაელების შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ მათ შორის დაარსებულ იქნას პარტიის გარეშე მუოფ არჩევნების წინა ორგანიზაციები.

**ვენა,** 23 იანვარი. ანდრაშიმ გამოაქვეყნა იმპერატორის ფირმანის შინაარსი კოალიციისადმი. იმპერატორი ითხოვდა, რომ კოალიცია შესდგომოდა სათანადო ფუნქციების ასრულებას და აცხადებდა თანხმობას უნგრელების მოთხოვნაზე სამხედრო საკითხში, რომელიც ლიბერალურმა პარტიამ წამოაყენა 1903 წ. ზაფხულში.

ამას გარდა, იმპერატორი ითხოვდა, რომ კოალიციას დაემტკიცებინა სავაჭრო ხელშეკრულობა გერმანიასთან. კოალიციის პირის პირი მოთხოვნები შემდეგია: 1. კოალიციური პარტიას აარსებს კაბინეტს; 2. გულწრფელ მშვიდობიანობის გულისთვის კოალიციამ უნდა მიიღოს კონცესიები უნგრეთის სასარგებლოდ; 3. კოალიცია იღებს გერმანიასთან ხელშეკრულობას ავტონომიურ სადამოჟნო ტარიფის პირობებზე. ავსტრიასთან უნდა ჩამოვარდეს სავაჭრო ხელშეკრულობა, და არამც და არამც არა ახალი სადამოჟნო სავაჭრო კავშირი; 4. კოალიცია იძლევა თანხმობას მხოლოდ ახალ სალდათების ნორმალურ კონტინგენტზე და წლიერ სამხედრო ბიუჯეტზე; ყველა დანარჩენი სამხედრო საკითხები გადაიდება ახალ არჩევნებამდე, რომელნიც უნდა მოხდეს გათანაბრებულ საარჩევნო წესით.

### პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

22 იანვარი

**პეტერბურგი,** 22 იანვარი. „რუს"-ი იუწყება, მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ ის ებრაელები, რომელთაც საშუალო სასწავლებლები გაუთავებიათ, უნდა მიღებულ იქნან უმაღლეს სასწავლებლებში უპროცენტოთ.

**კიევი,** 22 იანვარი. გენ.-გუბერნატორმა დახურა გაზეთი „კიევსკი ოტკლიკი", რომელიც „კიევსკი ოტკლიკი"-ს მაგივრად გამოდიოდა, მისი შეჩერების შემდეგ.

**რესსინა,** 22 იანვარი. (სტეფანი). დილით ძლიერ ამოხეთქა ვეზუვიმ. გადმდნარი ქვაქვიშნარი ღვარივით გადმოდის სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან და რკინის გზას ემუქრება.

**პეკინი.** განახლდა ამერიკელებისათვის ბოიკოტის გამოცხადება. ითხოვენ დამოუნის დირექტორის ამერიკელ დრიუს დათხოვნას.

**რომი,** 22 იანვარი. მეფემ მიიღო სონნინო და, როგორც ამბობენ, მიანდო მას კაბინეტის დაარსება.

**სოსნოვიცი,** 23 იანვარი. ღამით შატანის სახლში, ზიგმუნტის ბინაზე იფეთქა ბომბამ. ზიგმუნტის ოჯახში მოკვდნენ დედა და ორი და, მძიმედ დაიჭრა ორი ძმა, მესამე ძმა, დაჭრილი, დაიმალა, როგორც ამბობენ. აფეთქების ადგილზე იპოვნეს მზა-მზარეული ბომბა და ბევრი ასაფეთქებელი მასალა.

**ბაქო,** 23 იანვარი. დღეს გამოვიდა გაზეთი „ბაკუ" ახალის რედაქციით. იგი ს.-დემოკრატების ორგანოდან კ.-დემოკრატების ორგანოდ გადაკეთდა და შეიძინა უფლება „ბაკინსკი იზვესტია"-ს გამოსაცემად.

**პეტერბურგი,** 23 იანვარი. რუსულსა და უცხოეთის გაზეთებში იყო ნაუწყები, ვითომც მოსკოვის გენ.-გუბერნატორად ნამყოფს დურნოვოს ეთქვას სახელმწიფო საბჭოში, რომ დეკემბრის არეულობა მოსკოვში ცენტრალურ მთავრობის ბრალიაო. სააგენტოს მიაჩნდეს განაცხადოს, რომ სახელ. საბჭოში არაფერი არ უთქვამს ამის მაგვარი და დურნოვოს არავითარი უფლება არა ჰქონდა ამნაირი აზრი გამოეთქვა. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობებით ტყუილია ხმები ვარშავის პოლიტეხნიკუმის დახურვის შესახებ.

**ტვერი,** 23 იანვარი. ღამით 4 შეიარაღებული კაცი შევიდა საერობო სტამბაში, შეჰკრეს დარაჯი, მოიპარეს 100 მ., შრიფტი და მანქანების ერთი ნაწილი.

**პეტერბურგი,** 23 იანვარი. საერო განათლების სამინისტრო თანაუგრძნობს მოსკოვის უნივერსიტეტის შუამდგომლობას მომავალ სემესტრში საგნობრივ სისტემის შემოღებაზე. პროფესიონალურ მუშების ცენტრალური ბიურო წინადადებას აძლევს მუშათა კავშირების წევრებს დაემყარონ და ისარგებლონ საარჩევნო უფლებით.

**კალუგა.** სამაზრო საერობო სამმართველოებთან არსდება კომისიები საგლეხო ბანკისთვის დახმარების გასაწევად გლეხ-კაცთა შორის გასანაწილებელ მიწების შეძენის საქმეში.

**პეტერბურგი,** 23 იანვარი. პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებმა, სომხებმა და თათრებმა, თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი აირჩიეს თავიანთ წრეებიდან, რომელნიც კავკასიისაკენ გაემგზავრებიან, რათა ზეპირ პროპაგანდით ხელი შეუწყონ ორის მოძმე ერის შერიგებას. პირველი ჯგუფი შემრიგებელთა უკვე წამოვიდა, მეორე ამ დღეებში გამოვა.

**პეტერბურგი,** 23 იანვარი. ქუთაისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი კოლ. სოვეტ. სტაროსელსკი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

სახელმწიფო საბჭომ დაასრულა კანხილვა პროექტისა საზოგადოებისა და კავშირების შესახებ. მთავარი საფუძველი პროექტისა მოიწონა საბჭომ. საზოგადოებანი იღება გამოცხადებითის წესით. უთანხმოება ჩამოვარდა საზოგადოების დახურვის შესახებ.

**რიგა,** 23 იანვარი. ღამით, ლატიშთა საზოგადოების „ზარია"-ს გაჩხრეკის დროს, ვიღაცამ გაზი ჩააქრო. ჯარსა და შეკრებილ ხალხს შორის სროლა ასტყდა. ხალხიდან მოჰკლეს ორი კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 26 იანვარს, შუადღის 12 საათისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა არხის გაყვანის საქის გასაცემად. არხი გაყვანილ უნდა იქმნას ვახტანგისა და კოტლიარევსკის ქუჩ., მე-7 ნაწილში.

50 ს. ბეტონის მილი 0,25 × 0,16
10 „ „ 0,375 × 0,25
2 ჭა.

წერილობითი განცხადებანი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს ცალ-ცალკე ფასები, უნდა წარდგენილ იქნას დაბეჭდილ კონვერტებით ამ წლის 26 იანვრისთვის.

ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები განიხილოს გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 1-დან 3 საათამდე. ს. № 36. 1905 წ. (3—ნ.—3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო
## გიმნაზიაში

სწავლა 16 იანვრიდან დაიწყო. სწავლის ფასი უეჭველად 1-ლ თებერვლამდე უნდა წარმოადგინონ. (ნ. 3—1)

ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში
## იყიდება

მრავალი თანამედროვე წიგნები რუსულ და ქართულ ენებზე.

წიგნის მაღაზიის ადრესი: ტფილისი კიროჩნის ქ. № 7 (10—1)

ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

აცხადებს, რომ 25 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათისთვის, ქალაქის სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც გაიცემა შოსსეს შეკეთების საქმე ქალაქის სხვა და სხვა ადგილას. უნდა გაკეთდეს აგრეთვე ქუჩაზე გადასასვლელები.

ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 12-დან 2 საათამდე გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში. (3—ნ.—3)

## ქალაქ ბათუმში

**ექვთიმე ბერძენიშვილი და ახილეს დიმიტრიადი** ყიდიან საუკეთესო აბრეშუმის თესლს ხრისტოდულიდის ფირმისას და იმათ ექვს საწყობი ქ. ბათუმში ქუთაისის გუბერნიისათვის, რამდენიც საჭირო იქნება. ს. ხრისტოდულიდი. (8—2)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

# კალოშებ ა

და რეზინის სხვა საქონლისთვის

**უდიდესი ჯილდო**

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიეცემა რუსეთში მხოლოდ ამხანაგობას

## რუსეთ-ამერიკის

მანუფაქტურისას

პეტერბურგში, 1860 წელს



ვინც ჩვენის კალოშების ... ნიშანს, ... ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვას.

„С.-Петербургъ"

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად გაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი"

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტომსკს და ტფილისში.